საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა ჭმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ცუდილებით და ჭირებით ბუტრის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

სამშაბათი, 21 მაისი. 2019 წ. №100 (8766) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

პუჭურა დირექტორმა ნიკა გვარამიამ საბოლოოდ ჩაისვარა...

არაო, მე იმ საქართველოში გამჩერებელი არა ვარ, სადაც ვიღაც გადამთიელი ზურაბიშვილის ქალი გაპრეზიდენტდებაო, ბოლოს და ბოლოს, ქართულადაც კი ვერ მეტყველებსო. მაგრამ, როგორც ხედავთ, გაჩერდა კი არა, სააკაშვილისგან ნაყაჩაღარი „რუსთავი-2“ კიდევ უფრო ალესა, გააბასრა და ყოველდღიურ, უფრო სწორად, დღეღამურ შეტევაზე გადაიყვანა.

არაო, მე იმ საქართველოში ვერ გავჩერდებიო, სადაც მთელი ცხრა წელიწადი ნაპირველლედარი ჰოლანდიელი ფერია ისევ არ გაგვიპირველლედდებაო. თანაც კიდევ ამ ფულჩაფენილ ემბაზში მონათლული ქალის კვლავ გადედოფლება ამჟამად გამაწანწალებული მთლად უფროსის დავალებაო, გიჟუასიო...

და გაიძრო დირექტორის ქალამანდი პუჭურა გვარამიამ, ჩვეულებრივ მოკვდავ ჟურნალისტთაგან, ვთქვათ, ბაღაშვილისგან ან გოგოტიშვილისგან განსხვავებით, ბევრად მოზრდილი მიკროფონი გაიხმალგაიმახვილგაისატევრა და ოპერატორთა კარგა გვარიანი ამალით დაიძრა ზუგდიდისკენ...

მთელი ორი დღე სულ ქოჩორზე იტრიალა დაჩოქილმა, ხან წაღმა ატრიალა, ხანაც უკუღმა საქართველოს დაუძინებელი მტრის ივანიშვილის გვარი, შვიდსავ ბრუნვაში ღრღნა, არ დაიჯეროთ, რომ ის მართლა საღამოს 10 საათზე იძინებსო, პირიქით, გახარიასთან და თალაკვაძესთან ერთად, ხანაც, მდინარაძესა და ვოლსკისაც ეძახის შუშის სასახლეშიო, და მთელი ღამე გიული ალასანიას სატირებელ გეგმებს აწყობენო...

მაგრამ რა გეგმა უშველის „ოცნებას“, როცა სანდრას გასადედოფლებელ ბრძოლაში ჩაბმული არიან ნაციონალთა პუჭურა ჰებელსის ჩასვრილი შარვლისგან სუნდაკრული ისეთი ამორძალები, როგორიც დეკანოიძის ქალია, ხატიაკუნა და ბოკუჩავაა, თინიკუნა. ვაშინერს ერთიცა და მეორეც! იცოდნენ, განა არ იცოდნენ, რომ ზუგდიდელნი არჩევანში არ შეცდებოდნენ, მაგრამ დამარცხებულთ, ანუ როგორც ჩვენი ძველები იტყოდნენ, ხმალკისერკიდებულთ რომ სამომავლოდ სათქმელი ჰქონოდათ: როგორც „ოცნებას“ სჩვევია, ახლაც გააყალბა არჩევნებიო, კრიმინალები და ქუჩის ბიჭები ჩართეს საქმეშიო, ამომრჩეველი დააშინესო, მოისყიდესო.

ერთი სიტყვით, ჩემი შენ გითხარიო, ზუსტად ისეთი ვითარება შექმნეს ზუგდიდში ნაციონალებმა პუჭურა გვარამიას თავკაცობით.

მოკლედ, რაცა ღმერთსა (ხალხსა) არა სწადდეს, არა საქმე არ იქმნებისო, ჩვენი დიდი წინაპრის ეს მარადიული შეგონება ერთხელ კიდევ ნათელყო 19 მაისის შუალედურმა არჩევნებმა. ამაოდ დაშვრნენ ძალაუფლებისთვის გაგიჟებული ნაციონალები, როგორც ევროპულად, ისე ამერიკულ საქართველოდ მონათლულები.

რაც შეეხება პოლიტიკურ დიარეაშეყრილ, მიკროფონზე ამხედრებულ პუჭურა დირექტორ გვარამიას, ნუთუ არც ამჯერად დარწმუნდა, რომ სულ ტყუილად გაიფაღარათა სამარცხვინო საინფორმაციო ღრუში ავად გატლეკილი თბილისიდან ზუგდიდამდე (და პირიქით!) გასარსალებული ენა?!

ნუთუ არც ახლა აიკრავს გუდა-ნაბადს საქართველოდან ეს გიჟუა სააკაშვილის ყველანაირად ჩასვრილი ხელისბიჭი?!

სანდრეტა ომში მიდის!..

მიხეილ ჭიაურელმა „გიორგი სააკაძეში“ ყიზილბაშებისთვის თავზარის დაცემის დიდებული ხერხი გამოიგონა: შეტევისას სამხედრო მუსიკოსები დიპლიპიტოზე და ღოროტოტოზე რუსულის მსგავს ჰანგს დასცხებენ და „რუსი მოდის, რუსი მოდისო!“ დასძახებენ.

ახლა ის დროა, „სანდრა მოდის, სანდრა მოდის!“ მოტივმა დაგვიზაფროს გული (არადა, ყოველ ნახევარ საათში გადმოსაცემი სიახლე მიეცემა ავადმყოფ გვარამიას „რუსთავი-2“-ს!).

ეს ფოცხვერისთვალება ქალბატონი, როგორც ჩანს, არავისზე ნაკლები შემომტევი და სისხლისმღვრელი არ არის, გარეგნული სიმწყაზარის მიუხედავად, ქალმა 42,84 პროცენტით წააგო ოცნებელ გეგა შენგელიასთან (54,15%) და იხტიბარს არ იტეხს, გავიმარჯვე და მართმევენო.

მეო, ამ ქვეყანას არავის არ დავუთმობო. თუ გამარჯვებას არ მომანიჭებენ, იარაღს ავიღებ და თბილისისკენ გავაჭენებო: მოვივლი ყოველ სოფელს და გამარჯვებას მაინც მივაღწევო.

ძალაა, კაცო!

ისე, რომ სანდრეტა ომში მიდის.

ის, რაც ზუგდიდში მოხდა, რითიც დამთავრდა ზუგდიდის მერის არჩევნები, მაქსიმუმი იყო გაერთიანებულ-შეკონწიწებული ოპოზიციისთვის. იმდენი იძახეს, ჩვენ გავიმარჯვებთო, ჩვენ ვიმარჯვებთო, რომ თავი დაირწმუნეს გამარჯვებაში – იმ მოლასავით, რომელმაც მეზობლებს აცნობა, გაღმა სოფელში ფლავს არიგებენო და როცა ხალხი ერთიანად მოიგლიჯა და უფასო ფლავზე გავარდა, თვითონაც ქვაბს სტაცა ხელი და უკან გამოუდგა, იქნებ მართლა არიგებენო.

სანდრა რულოვსის საქმე სწორედ გასაკვირია, ისე ჩააცივდა ამ ზუგდიდს,

„გამარჯვებული“ ოპოზიცია მარცხს ეგუება

თითქოს ეკატერინე ჭავჭავაძე ყოფილიყოს, ან ბოლოს და ბოლოს ნარდში მაინც ჰქონდეს მოგებული. ჯერ იყო და 2016 წელს ზუგდიდის მაჟორიტარად იყარა კენჭი, მეორე ტურშიც გავიდა, მაგრამ საღმა აზრმა ურჩია და აღარ გააგრძელა. ოღონდ ახლა, როგორც ვხედავთ, სანდრა ის სანდრა აღარ არის. აკი გაგვაფრთხილა მიხეილ სააკაშვილმა, თქვენ სანდრას არ იცნობთო და მაშინვე მთლიანად დაუჭირა მხარი ცოლის საომარ მოწოდებას.

ჰოდა, გავიცანით და ახლა ის დროა, ავჭალასთან სანგრებს ვთხრიდეთ!

მოპოვებული ხმების რაოდენობამ (დიახაც, არა მცირედმა) ვაბანკზე წასვლა ურჩია, მით უფრო, რომ გვერდით ისეთი საომრად დალესილი მხარდამჭერები ჰყავს, როგორებიც ხატია დეკანოიძე, თინათინ ბოკუჩავა, თაკო ჩარკვიანი და სხვანი არიან.

იხ. 3 გვ.

ფოთის მერი

გოჩა კურდღელია:

6 7

ინფრასტრუქტურული პროექტების სიმრავლე ფოთის მომავალი განვითარების პერსპექტივას რეალურს ხდის!

საქართველოს პრეზიდენტი უკრაინის ახალარჩეული პრეზიდენტის ვოლოდიმირ ზელენსკის ინაუგურაციას დაესწრო

საინაუგურაციო ცერემონიის ფარგლებში, საქართველოს პრეზიდენტი კიევში უკრაინის უმაღლეს რადას საზეიმო სხდომას დაესწრო, რომელზეც უკრაინის ახალარჩეულმა პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ უკრაინელი ხალხის წინაშე ფიცი დადო.

მარიინსკის სასახლეში საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი უკრაინაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან გელა დუმბაძესთან ერთად უკრაინის ახალარჩეული პრეზიდენტის ვოლოდიმირ ზელენსკის მიერ უკრაინის სახელმწიფოს მეთაურის თანამდებობის დაკავებისადმი მიძღვნილ საზეიმო მიღებას დაესწრო.

შეიძლება ითქვას, რომ ენმ დაშლილია

შეიძლება ითქვას, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ დაშლილია, – აღნიშნულის შესახებ განცხადებას დედაქალაქის მერი ჟურნალისტის კითხვის პასუხად აკეთებს. თავად კითხვა კი ენმ-ში დაპირისპირებას შეეხებოდა, რაც კვირას, ღამით საჯაროდ გამოვლინდა. **„გამიჭირდება, დაპირისპირებაზე რაიმე კომენტარი გავაკეთო. შეიძლება ითქვას, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ დაშლილია. ერთადერთი, რაზეც დგას დღეს „ნაციონალური მოძრაობა“, ეს არის ტელეკომპანია „რუსთავი-2“ და ნიკა გვარამია“,** – განაცხადა კახა კალაძემ.

ჩვენ ვზეიმობთ მნიშვნელოვან გამარჯვებას

„ქართული ოცნებიდან“ ზუგდიდის მერობის კანდიდატის, გიორგი შენგელიას, შტაბის უფროსი ამბობს, რომ არჩევნების დღემ არსებითი ექსცესებისა და საჩივრების გარეშე ჩაიარა.

„ქართული ოცნების“ კანდიდატმა გეგა შენგელიამ არჩევნების დასრულების შემდეგ მედიასთან პირველი კომენტარი გააკეთა. მისი თქმით, ზუგდიდელებმა დაამტკიცეს, რომ მათ მშვიდობა და განვითარება სურთ.

„განწყობა არის საზეიმო. ჩვენ კიდევ ერთხელ ვზეიმობთ მნიშვნელოვან გამარჯვებას. ზუგდიდელებმა კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ მათ სურთ მშვიდობა, განვითარება. ისინი შორს არიან დესტრუქციისგან და სურთ, რომ ზუგდიდში გაგრძელდეს ის მშენებლობის კურსი, რაც დღეს მიმდინარეობს,“ – განაცხადა გეგა შენგელიამ.

„ქართულ ოცნებაში“ ამბობენ, რომ ზუგდიდში მეორე ტური არ გაიმართება, რადგან ხმების 80% უკვე დათვლილია და გეგა შენგელია ლიდერობს. **„ისინი არიან წარსულნი და გაქრებიან, როგორც მიშა გაქრა რადარებიდან. ეს არის პასუხი, ეს არის სამეგრელოს პასუხი ნაცბანდას,“** – განაცხადა თბილისის საკრებულოს ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ზარქუამ.

ზუგდიდის ოლქში დარეგისტრირებულია 100-მდე პროცედურული საჩივარი...

ზუგდიდის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მირანდა მესხის ინფორმაციით, ზუგდიდის ოლქში 100-მდე საჩივარი დაიწერა, რომლებიც დარღვევებს ეხება.

„ამომრჩეველთა რაოდენობამ შეადგინა 56 643 ამომრჩეველი, პროცენტულად ეს არის 46,88 პროცენტი. რაც შეეხება საჩივრებს, ოლქში დარეგისტრირებულია 100-მდე საჩივარი, რაც ძირითადად ეხება პროცედურულ დარღვევებს. კანონით დადგენილ ვადაში მოხდება საჩივრების განხილვა. შედეგებს არ ვაჯამებთ. ცესკომ განცხადება უკვე გააკეთა და ყველა ოქმი უკვე ატვირთულია ონლაინ“, – აღნიშნა მესხმა.

მთაწმინდის №1 საარჩევნო ოლქში არჩევნების მეორე ტური 13 ივნისამდე გაიმართება

მთაწმინდის №1 საარჩევნო ოლქში შუალედური არჩევნების მეორე ტური არაუგვიანეს 13 ივნისს გაიმართება. როგორც ცესკოს პრესსპიკერმა ანა მიქელაძემ განაცხადა, კანონმდებლობის თანახმად, კენჭისყრის დღიდან, 25 დღის განმავლობაში უნდა ჩატარდეს მეორე ტური და მისი ჩატარების ბოლო ვადა არის 13 ივნისი.

„საარჩევნო პროცედურები გრძელდება. ახლა მიმდინარეობს როგორც საბოლოო შედეგების დამუშავების, ისე საჩივრების განხილვის პროცესი. კანონმდებლობის თანახმად, საოლქო საარჩევნო კომისიებმა უნდა შეაჯამონ კენჭისყრის შედეგები არაუგვიანეს კენჭისყრის დღიდან მე-11 დღისა, რაც არის არაუგვიანეს 30 მაისი. რაც შეეხება თარიღს, კენჭისყრის დღიდან, 25 დღის განმავლობაში უნდა ჩატარდეს მეორე ტური და მეორე ტურის ჩატარების ბოლო ვადა არის 13 ივნისი“, – აღნიშნა მიქელაძემ.

„ყველა ის გუნდი, სადაც ხდება მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება შეუთანხმებლად, განწირულია მარცხისთვის“

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკურ საბჭოს თავმჯდომარე ნიკა მელია არჩევნების შედეგებთან დაკავშირებით ოპოზიციის გეგმის შემუშავებაზე და მის განხორციელებაზე საუბრობს.

„ეს არ ნიშნავს, რომ აქცია არ უნდა დაიწყოს, ეს არ ნიშნავს, რომ ძალადობა არ უნდა დაიგმოს, ეს არ ნიშნავს იმას, რომ უნდა შენელდეს ბრძოლა ივანიშვილის წინააღმდეგ, დანაშაულებრივი რეჟიმის ხელმძღვანელის წინააღმდეგ. ეს ამას არ ნიშნავს. მნიშვნელოვანია, რომ ყველა მნიშვნელოვანი განცხადება ჯერ გახდეს გუნდის შიგნით მსჯელობის საგანი, ეს არის მნიშვნელოვანი და წარმატების ერთ-ერთი საწინდარი, ჩემი აზრით და ამის შემდეგ გადაიდგას კონკრეტული ნაბიჯები. არაფერი აქ რაღაცა სკანდალის შემცველი ნამდვილად არ არის. ყველა ის გუნდი, სადაც ხდება მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება შეუთანხმებლად, არის განწირული მარცხისთვის და ჩვენ საჩუქარი გამარგინალებულ, გაბანკროტებულ ბიძინა ივანიშვილს არ უნდა გავუკეთოთ“ – აღნიშნა ნიკა მელიამ.

სანდრეტა ომში მიდის!..

„გამარჯვებული“ ოპოზიცია მარცხს ეგუება

(პირველი გვერდიდან)

ამ მეტისმეტმა საომარმა შემართებამ, სხვისი აზრის შეუსმენლობამ, დაჰიპნოზებულივით აჩემებამ არსებითი რამ გამოკვეთა: ჯერ ერთი, ამდენს რომ იღებ შენს თავზე, რისი ან ვისი იმედით? მეორე, ასე თუ ისე, „ზუგდიდისთვის ბრძოლას“ აწარმოებდა არა სანდრა რულოვსი, არამედ გაერთიანებული ოპოზიცია, რომელიც სულაც არ უნდა იყოს იმ გუნებაზე, რომ რეალური წაგების შემდეგ, რაც, ფაქტობრივად, აღიარა (ბოკერია, მელია), მთელ საქართველოს გაენთოს არარსებული ფლავისთვის. იმ გაერთიანებულ ოპოზიციაში, გახურებული თავების გარდა, საღად მოაზროვნენიც ხომ არიან!

რომ არიან, ამაში დარწმუნება იმ დღესვე შეიძლებოდა: აზრის სხვადასხვაობა სულაც არ ნიშნავს, რომ პარტიაში ყველამ თავის ქეიფზე იაროსო, გახმიანდა. ასეთი გაცეცხლებული, ასეთი მჭმუნვარე და მართალი პირადად მე ნიკა მელია არ მახსოვს. იმით გულმოკლული, რომ თავისი დიდი სურვილის მიუხედავად, თანაპარტიელებმა სანდრა აირჩიეს ზუგდიდის მერობის კანდიდატად, მკვახედ მოჭრა, არჩევნები წავაგეთ, თუმცა ბევრი ვიძახეთ ვიგებთო; საერთოდ, ხშირად ვამბობთ ვიმარჯვებთო და ვმარცხდებით, რაც ავტორიტეტს ულახავს პარტიას. ამის მიზეზი ის არის, რომ პარტიაში ერთი პირი, ერთი სული არ არისო. აი, დამთავრდა არჩევნები, აქედან გამომდინარე, თუ როგორ უნდა ვიმოქმედოთ შემდგომში, როგორ წარვმართოთ საქმე, შევიმუშაოთ სამოქმედო გეგმა, პარტიამ უნდა გადაწყვიტოს და არა ცალკე პიროვნებებმაო. ერთი სიტყვით, გამორიცხული არ არის, შემდეგი ნაბიჯი თვით პარტიაში განხორციელდეს, რათა, მაგალითად, თ. ბოკუჩავამ არ მართოს პროცესები გაერთიანებულ ნაციონალურ პარტიაში, თვით ამ პარტიის ნაცვლად.

ეს რომ უშუალოდ სანდრა „კრუპსკაიას“ ზემორე განცხადების გამო იყო თქმული და, რაც მთავარია, თქმული იყო დიაღაც სწორად, თვით ნიკა გვარამიას არ შეეპარვია ეჭვი და არც გაუპროტესტებია. სიტყვამ მოიტანა და ვიტყვი: ზუგდიდში ხუთკაციანი დაცვით მყოფმა, ამ „საქართველოს პირველმა ჟურნალისტმა“ როცა დაატყო, რომ გამარჯვების შანსი არ იყო, ჩვეული „ენამზეობით“ მიუალერსა მასპინძლებს: „შეგეცით, ზუგდიდელებოო“ (მკითხველს ბოდიშს ვუხდით ამ უხამსი სიტყვის გამეორებისთვის). მართალი გითხრათ, გამიკვირდა, რომ შეურაცხყოფილმა ზუგდიდელებმა ბილწი სტუმარი, სულ ცოტა არ გაასილაქეს, მაგრამ ზუგდიდელებისას რას გაიგებ!

ერთი სიტყვით, 19 მაისის არჩევნებმა კიდევ ერთხელ გამოკვეთა „ქართული ოცნების“ დამაჯერებელი გამარჯვება. ოღონდ მას ბევრი რამ ექნება გასათვალისწინებელი, მათ შორის ის, რომ მიხეილ სააკაშვილი და სანდრა რულოვსი „არ დაღლილან“ და „ბრძოლას აგრძელებენ“... საეჭვოა, რომ მათ გაიზიარონ ექსპრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის რჩევა: „სანდრამ მიხედოს ქმარს, ჩვენ მივხედავთ საქართველოს“.

ოღონდ სანამ სანდრა ქმარს მიხედავს, რაც სიმართლეს თუ ვიტყვით, ერთობ ძნელი აღსასრულებელი უნდა იყოს თვით გადარეული მიშას შიგთავსიდან გამომდინარე, მით უფრო, რომ არც საქართველოში სათარეშოდ გამოჭრილი სანდრას მომვლელად, მომხედავად და ჭკუის დამრიგებლად წარმოდგენაა ადვილი.

ამ შეგონების არსი ის გახლავთ, რომ ეს ორი ადამიანი საბოლოოდ ჩამოშორდეს პოლიტიკას და შვება მოჰგვაროს ძვეყანას. შეისმენენ? – ხომ კარგი, არ შეისმენენ და საბოლოოდ თავის თავს დააბრალონ. მთავარი ეს მაქსიმაა: „ჩვენ მივხედავთ საქართველოს“. სრულიად აშკარაა, რომ თუნდაც განვლილი არჩევნების ფონზე, შეგვიძლია, ვირწმუნოთ, რომ „ჩვენ“ – სახელისუფლებო პარტიას, მთავრობას მართლაც ძალუძს მიხედოს საქართველოს“. ოღონდ ამისთვის მხოლოდ მოწინააღმდეგის არჩევნებში დამარცხება არ კმარა. მან ბოლოს და ბოლოს უნდა დაძლიოს ოპოზიციის შიში, უფრო სწორად, ხისტი სამოქალაქო დაპირისპირების შიში და მუშტი შეკრას, თორემ, რასაც ყოველდღიურად ტელეარხებიდან (განსაკუთრებით „რუსთავი-2“-დან) ისმენს საქართველოს მოქალაქე, კიდევ მადლობა ღმერთს, რომ სულ დასაბმელი არ არის.

ამრიგად, მეფე მოკვდა, გაუმარჯოს მეფეს! 2019 წლის არჩევნები დასრულდა, წინ 2020 წლის არჩევნებია, გაცილებით მნიშვნელოვანი, გაცილებით მასშტაბური!

7 წელია, ოპოზიცია „იმარჯვებს“ და ქვეყანას აყრუებს ბუკ-ნაღარით ამ გამარჯვების შესახებ. შემდეგ (ყოველთვის!) მარცხდება და ყოველთვის ახლიდან იწყებს იმავე სცენარით, რომლითაც დამარცხდა.

ოპოზიციას მოუხდება ჩაუფიქრდეს ნიკა (ნიკანდრო) მელიას ამონაკვნესს, გაერთიანებულ ოპოზიციაში მარცხენამ არ იცის, რას აკეთებს მარჯვენა და ამიტომ ვმარცხდებითო.

ასე რომ, სწავლა სიბერემდეო, ტყუილად არ არის ნათქვამი!

ალეკო ასლანიშვილი

გარდა მთაწმინდისა, „ქართულმა ოცნებამ“ ყველა ოლქში პირველსავე ტურში გაიმარჯვა

ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე თამარ ჟვანიამ 19 მაისის შუალედური/რიგგარეშე არჩევნების პირველადი წინასწარი შედეგები წარმოადგინა.

სანამ უშუალოდ შედეგებს გაგაცნობთ, მინდა პირველ რიგში იმ 173 361 ამომრჩეველს გადავუხადო მადლობა, რომელთაც ჩვენი წინასწარი მონაცემების მიხედვით მიიღეს არჩევნებში მონაწილეობა და შეასრულეს საკუთარი მოქალაქეობრივი ვალი.

მინდა, ხაზგასმით აღვნიშნო, საარჩევნო ადმინისტრაციის თავდაუზოგავი მუშაობა და მადლობა გადავუხადო საუბნო საარჩევნო კომისიის ყველა წევრს მათ მიერ გაწეული საქმიანობისთვის, რომელთაც შექმნეს ყველა პირობა ამომრჩევლების უფლების რეალიზებისთვის.

ასევე, მადლობას ვუხდი იმ ჩართულ მხარეებს, რომლებიც პასუხისმგებლობით მოეკიდნენ საქმეს და ხელი შეუწყვეს საარჩევნო პროცესის გამჭვირვალობასა და შეუფერხებლად წარმართვას.

კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ არჩევნების დღემ ძირითადად მშვიდ გარემოში ჩაიარა, მიუხედავად ცალკეული შემთხვევებისა კენჭისყრის შენობის გარეთ.

ამასთან, ნებისმიერ ფაქტსა თუ საკითხს, საარჩევნო ადმინისტრაცია განიხილავს კანონით დადგენილ ვადებში და, ცხადია, ექნება შესაბამისი რეაგირება.

ახლა კი გაგაცნობთ 19 მაისის შუალედური და რიგგარეშე არჩევნების პირველად წინასწარ შედეგებს საარჩევნო ოლქების მიხედვით:

თბილისი, №1 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი:

№13 შალვა შავგულიძე 36,72%
№35 გერმანე საბო 4,78%
№41 ვლადიმერ კახაძე 41,28%
№42 ლევან იოსელიანი 6,43%
№43 კობა დავითაშვილი 2,87%
№44 სოფიო ხორგუანი 2,58%
№45 გრიგოლ გეგელია 3,11%.

დანარჩენ ყველა კანდიდატს აქვს ერთ პროცენტზე ქვევით ხმები და შეესაძლებელია ამ პროცენტების გაცნობა ცესკოს სპეციალურ ვებგვერდზე.

წინასწარი შედეგებით მთაწმინდაზე გამოიკვეთა მეორე ტურის ალბათობა.

მერის რიგგარეშე არჩევნების წინასწარი შედეგები საარჩევნო ოლქების მიხედვით ასეთია:

№22 მარნეულის საარჩევნო ოლქი:

№2 აკმამედ იმამკულიევი 7,73%
№5 აგილ მუსტაფაევი 11,06%
№41 ზაურ დარგალი 78,8%

№51 ზესტაფონის საარჩევნო ოლქი:

№5 ბაქარ ხიჯაკაძე 34,29%
№8 ანზორ ნებიერიძე 2,66%
№9 გიორგი წულაია 5,83%
№41 გიორგი გოგლიჩიძე 50,57%
№42 ვახტანგ რობაქიძე 5,17%

№56 ჭიათურის საარჩევნო ოლქი:

№41 გივი მოდებაძე 64,37%
№42 ზურაბ კუპატაძე 18,1%
№43 დავით ჭუმბურიძე 14,36%

№67 ზუგდიდის საარჩევნო ოლქი:

№5 სანდრა ელისაბედ რულოვსი 42,75%
№41 გიორგი შენგელია 54,45%

№84 ხულოს საარჩევნო ოლქი:

№1 ვახტანგ ბერიძე 3,63%
№5 ირაკლი ჯორბენაძე 23,74%
№41 ვახტანგ ბერიძე 70,91%
№42 როლანდ აბულაძე 1,3%

საარჩევნო ზუგდიდში, შუაღამისას

სანდრა რულოვსს

გულღრძოობით აყოლილი
საშიშ ვნებას,
დამარცხებულს გინდა ხალხის
დაშინება
და ყვავ-ყორნის შემზარავი
მუქი ფრთებით
ქმართან ერთად ამბოხებით
იმუქრები.
ადრეც სცადეს, ქვეყანა რომ
დაეთალხათ,
ისტორია შენით ნაღდად
არ იწყება,
ზოგ-ზოგს ერთხელ მიუტევა
ჩვენმა ხალხმა,
მეორედ კი ხვდათ
განდევნა-დავიწყება!

ნიკა გვარამიას

რომელმაც 19 მაისს დედისტოლა ქალს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა

ხალხს რომ დედა აგინე,
და ქალს სცემე!
გული გაქვს?
მკერდში ქვა რად ჩაგიდეს
გენდირექტორ-ხულიგანს?
ეკრანი რომ აქციე
კორუფციულ ხისტობად,
ფუი, შენს მტრულ აქციებს
და შენს იურისტობას!

ალექსანდრე შენგელია,
რესპუბლიკის დამსახურებული ჟურნალისტი,
ქუთაისის საპატიო მოქალაქე...
2019 წლის 19 მაისი.
შუალედური არჩევნების შუაღამე.

ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲡᲐᲕᲐᲚᲣᲢᲝ ᲤᲝᲜᲓᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

ᲗᲘᲗᲕᲘᲜᲘ ხელმძღვანელობით ძალიან დიდი საქმე გაკეთდა სტაბილურობის, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის, განათლების, ინკლუზიური ზრდის მიმართულებით, — ამ სიტყვებით მიმართა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მმართველმა დირექტორმა კრისტინ ლაგარდმა საქართველოს პრემიერ-მინისტრ მამუკა ბახტაძეს მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ ერთობლივ პრესკონფერენციაზე.

მისი თქმით, საერთაშორისო სავალუტო ფონდი მომავალშიც განაგრძობს საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული რეფორმების მხარდაჭერას.

„უსასრულოდ შემიძლია ჩამოვთვალო ის ამოცანები, რაც თქვენს პროგრამაში შედის და რაც დასახული გაქვთ თქვენი ხალხისთვის, რათა მიღწეული იყოს სტაბილურობა და წინსვლა თქვენს საზოგადოებაში. ჩვენ კვლავ ვკისრულობთ გააზრებულ ვალდებულებას თქვენს წინაშე. მალე მეოთხე მიმოხილვა დასრულდება. მესამე მიმოხილვა გასული წლის დეკემბერში დასრულდა. კიდევ ბევრი რამ გვაქვს გასაკეთებელი იმისთვის, რომ გაფართოებული დაფინანსების მექანიზმის ფარგლებში ქვეყანამ პროგრამა დაასრულოს. დარწმუნებული ვარ, რომ ამ მხრივაც ძალიან დიდი წარმატება გექნებათ. მე დაგეხმარებით თქვენ და ქვეყნის ხელისუფლებას მომავალშიც, რომ რეფორმები განხორციელდეს თქვენ მიერ დასახული და ჩვენთან შეთანხმებული მიზნების შესაბამისად“, — განაცხადა კრისტინ ლაგარდმა.

* * *

ᲩᲕᲔᲜ მხარს ვუჭერთ მთავრობის რეფორმებს, აღნიშნულის შესახებ განცხადება საერთაშორისო სავალუტო ფონდის (სსფ) მმართველმა დირექტორმა კრისტინ ლაგარდმა სახელმწიფო ცერემონიების სასახლეში სტუდენტებთან შეხვედრისას გააკეთა.

კრისტინ ლაგარდის თქმით, მთავრობის მიერ შემუშავებული პროგრამა საქართველოს ეკონომიკისა და მოქალაქეების საჭიროებებზეა მორგებული.

„საქართველო ახლა წერს გარდაქმნის ისტორიას, მაგრამ არა მხოლოდ ეკონომიკაში. აქ მე მახსენდება ქართული ღვინო, ტრადიცია, რომელიც 8 000 წელს ითვლის. როგორ უნდა შეიქმნას უნიკალური გემოს მქონე ღვინო, რომელიც საქართველოს ტრადიციებზეა დაფუძნებული. მსოფლიოში მოსწონთ? რა თქმა უნდა, პასუხია — დაცულობა და შემოქმედებითი უნარი. ეს უნარები აქცევს ყურძენს ღვინოდ“, — განაცხადა კრისტინ ლაგარდმა.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მმართველის განცხადებით, მსოფლიო მნიშვნელოვანი საფრთხეების წინაშე დგას, მათ შორის არის სავაჭრო დავები და გეოპოლიტიკური დაძაბულობა.

„ვისაუბროთ დაცულობის გაძლიერებაზე. კარგი ამბავი არის ის, რომ მომდევნო რამდენიმე თვეში გაძლიერდება და ეს 2020 წელსაც ასე იქნება, მაგრამ მსოფლიო მნიშვნელოვანი საფრთხეების წინაშე დგას, მათ შორის არის სავაჭრო დავები და გეოპოლიტიკური დაძაბულობა. ეს არის მნიშვნელოვანი მომენტი, განსაკუთრებით იმ რეგიონში, სადაც საქართველო მდებარეობს, რადგან საქართველო ღია ეკონომიკაა და დამოკიდებულია საგარეო მოთხოვნაზე. ამიტომ, აუცილებელია შეცდომების თავიდან აცილება და სწორი ნაბიჯების გადადგმა.

რა შეუძლია საქართველოს გააკეთოს ეკონომიკის დასაცავად? ორი ათწლეულის განმავლობაში სიღარიბის დონე შემცირდა სამი მეოთხედით, სიცოცხლის ხანგრძლივობა გაიზარდა 6 პროცენტით და ერთ სულ მოსახლეზე შემოსავალი გასამმაგდა, მაგრამ ეს ყველაფერი არაა. სულ ახლახან საქართველომ მნიშვნელოვანი და ხაზგასასმელი პოლიტიკა მიიღო ეკონომიკის დასაცავად. ფისკალური დეფიციტი კონტროლირებადია, ინფლაცია შემცირებულია, ბანკები კაპიტალიზებულია, ხოლო უმუშევრობის დონე ბოლო 15 წლის განმავლობაში ყველაზე დაბალ ნიშნულზეა. ამიტომ, არავის გვიკვირს, რომ ეკონომიკის ზრდის მაჩვენებელი გაზრდილია. წელს ეკონომიკის ზრდა 4,6 პროცენტითაა ნავარაუდევი, ხოლო მომავალ წელს, ოდნავ მეტით. ეს საოცარი მიღწევებია. ეკონომიკის ზრდასთან ერთად ასევე მნიშვნელოვანია შემოქმედებითი მიდგომა. საქართველომ მუდამ უნდა იზრუნოს ამ კომპონენტის დამატებაზე, თუ სურს ინკლუზიური ზრდის მიღწევა“, — განაცხადა კრისტინ ლაგარდმა.

ᲔᲕᲠᲝᲞᲐ — ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲐᲠᲩᲔᲕᲐᲜᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ მუნიციპალიტეტის საკრებულოში, „ევროპის დღეები 2019“-ის ფარგლებში სემინარი — „ევროპა-საქართველოს ისტორიული არჩევანი“ გაიხსნა, რომელსაც დედაქალაქის მერი კახა კალაძე დაესწრო.

კახა კალაძემ სიტყვით გამოსვლისას, ევროპასთან ინტეგრაციის პროცესში ადგილობრივი თვითმმართველობების მეტ ჩართულობასა და მოსახლეობის მეტი ინფორმირებულობის აუცილებლობის შესახებ ისაუბრა.

„მესამე წელია, ჩვენ ვხვდებით ერთმანეთს და ვსაუბრობთ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ევროკავშირში ინტეგრაცია — გზა, რომელიც ჩვენმა ხალხმა აირჩია. 2012 წლის შემდეგ ჩვენ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადავდგით იმისთვის, რომ, რაც შეიძლება მალე გავხდეთ იმ დიდი ოჯახის წევრი, რომელსაც ევროკავშირი და ევროპა ჰქვია. ჩვენზე, თვითმმართველობებზე ძალიან ბევრია დამოკიდებული, რომ კიდევ უფრო მეტი ინფორმაცია მივაწოდოთ მოსახლეობას და ჩვენი მხრიდან მეტი ჩართულობა იყოს. ზოგადად, ინფორმირებული მოქალაქის არჩევანი რომ უფრო ნათელი და სწორია, ცხადია, ამაზე ყველა ვთანხმდებით. ამ არჩევანს კი იმდენად დიდი მნიშვნელობა აქვს დღეს საქართველოსთვის. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რათა საზოგადოებამ გაიგოს, რა სიკეთე მოიტანა ევროპასთან ინტეგრაციის პროცესმა ამ ხნის განმავლობაში და რას უნდა ველოდოთ სამომავლოდ.

რას გვთავაზობს ევროპა: ევროკავშირის უდიდეს ბაზარს, ბიზნესის წარმოების ახალ შესაძლებლობებს, შესაბამისად, დასაქმების შესაძლებლობას და კონკურენტუნარიანობის ამაღლებით, ხარისხის ზრდასაც.

ასოცირების შეთანხმება ითვალისწინებს ყველა სფეროში ევროპული, მაღალი სტანდარტის დაწესებას, კეთილდღეობის და სტაბილურობის ზრდას, ხარისხის განვითარებას სოციალურ სფეროში და მომსახურებაში, უსაფრთხო გარემოს, შრომის ბაზრის მოწესრიგებას, დასაქმებულთა უფლებების დაცვას და ა.შ. ამასთან, ჩვენს ახალგაზრდებს ეძლევათ საშუალება, მიიღონ ევროპული განათლება. წარმატებით ვთანამშრომლობთ მეცნიერებისა და ინოვაციების, ასევე, კულტურის და აუდიო-ვიზუალური ხელოვნების სფეროში.

ჩვენ უდიდესი დახმარება გაგვიწია ევროკავშირმა წლების განმავლობაში, ახორციელებს ქვეყნის განვითარების ხელშემწყობ უამრავ პროექტს. ჩვენი სტრუქტურები აქტიურად თანამშრომლობენ ევროპულ ორგანიზაციებთან და იზიარებენ მათ გამოცდილებას სხვადასხვა სფეროში. ასევე, აქტიურია სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობა“, — განაცხადა კახა კალაძემ.

ᲡᲘᲦᲐᲠᲘᲑᲘᲡ ᲓᲝᲜᲔ „ᲛᲓᲘᲓᲐᲠ“ ᲔᲕᲠᲝᲞᲐᲨᲘ

ᲔᲕᲠᲝᲡᲢᲐᲢᲘᲡ მონაცემებით, ევროპის მოსახლეობის 23,7%, ანუ 118 მლნ. ადამიანი ღარიბია. ამ მხრივ ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვს ბულგარეთს — მოსახლეობის 38,9%-ია ღარიბი.

შემდეგ მოდიან რუმინეთი (35,4%), საბერძნეთი (34,8%), ლატვია (29,6%), ლიტვა (28,9%), იტალია (28,2%), ხორვატია (27,9%), ესპანეთი (26,3), უნგრეთი (25,2%). 20%-ზე ოდნავ მეტია ღარიბი ესტონეთში, ირლანდიაში, კვიპროსზე, ლუქსემბურგში, პორტუგალიაში, ბრიტანეთსა და ბელგიაში.

ყველაზე ნაკლები ღარიბი ცხოვრობს ისლანდიაში (12,2%), ჩეხეთში (12,2%), ფინეთში (15,7%), ნორვეგიაში (16.1%), სლოვაკეთში (16.3 %), ჰოლანდიაში (17%), სლოვენიაში (17.1%), საფრანგეთში(17.1%), დანიაში (17.2%), შვედეთში (17.7%), შვეიცარიაში (17.8%), ავსტრიაში (18%), გერმანიაში (19%), მალტაში (19.2%) და პოლონეთში (19.5%).

სიღარიბის ზღვარს მიღმა ევროკავშირში ცხოვრობს მოსახლეობის 8,1%. ამ კატეგორიაში შედიან ადამიანები, ვისაც არ შეუძლია წავიდეს წელიწადში ერთხელ 1-კვირიან შვებულებაში, არ შეუძლია დღეგამოშვებით ჭამოს ხორცი ან თევზი, ვერ ყიდულობს სარეცხ მანქანას, მობილურ ტელეფონს და ტელევიზორს.

ამ კატეგორიის ადამიანები ყველაზე ნაკლებია შვედეთში — 0,7%, ლუქსემბურგში — 2%, ფინეთში — 2,2%, ჰოლანდიაში — 2,6%.

ყველაზე მეტი ღატაკი ევროკავშირში არის ბულგარეთში — 34,7%, საბერძნეთში — 22,2% და რუმინეთში.

ევროსტატის მონაცემებით, ევროპის უმდიდრესი ქვეყნების ათეული მსყიდველობითუნარიანობის მიხედვით ერთ სულ მოსახლეზე, მშპ-ს კუთხით, ასე გამოიყურება: ლუქსემბურგი ($106 374), ირლანდია ($75 538), ნორვეგია ($71 831), შვეიცარია ($61 422), სან-მარინო ($59 466), ჰოლანდია ($53 635), ისლანდია ($51 842), შვედეთი ($51 475), გერმანია ($50 425), დანია ($49 883)

ამავე მაჩვენებლით ყველაზე ღარიბი ევროპული ქვეყნების ათეული ასე გამოიყურება: მოლდოვა ($5 661), უკრაინა ($8 713), სომხეთი ($9 456), კოსოვო ($10 515), საქართველო ($10 747), ალბანეთი ($12 507), ბოსნია ($12 724), მაკედონია ($14 914), სერბეთი ($15 000), აზერბაიჯანი ($17 492).

ᲡᲡᲘᲞ - ᲤᲔᲠᲓᲘᲜᲐᲜᲓ ᲗᲐᲕᲐᲫᲘᲡ ᲛᲔᲢᲐᲚᲣᲠᲒᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲡᲐᲚᲐᲗᲛᲪᲝᲓᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ

ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲡ

ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲓᲔᲑᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲙᲐᲕᲔᲑᲚᲐᲓ

1. მეცნიერ თანამშრომელი - 1 ერთეული (თვითგავრცელებადი მაღალტემპერატურული სინთეზის ლაბორატორიაში)
2. მთავარი მეცნიერ თანამშრომელი - 1 ერთეული (ნახევარგამტარული მასალათმცოდნეობის ლაბორატორიაში)
3. მთავარი მეცნიერ თანამშრომელი - 1 ერთეული (არაორგანული მასალების ქიმიური და ფიზიკურ-ქიმიური ანალიზის ლაბორატორიაში)
4. ინჟინერი - 1 ერთეული (არაორგანული მასალების ქიმიური და ფიზიკურ-ქიმიური ანალიზის ლაბორატორიაში)
5. მთარგმნელი ოპერატორი 1 არასრული ერთეული (სამეცნიერო პროექტებისა და ტექნოლოგიების კომერციალიზაციის ცენტრში)

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ ან ატვირთონ PDF ფორმატში:

1. განცხადება (განცხადების ფორმა იხილეთ (www.mmi.ge)
2. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
3. ავტობიოგრაფია /CV
4. განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
5. სამეცნიერო ხარისხის (მეცნიერ თანამშრომლისა და მთავარი მეცნიერ თანამშრომლის თანამდებობაზე) დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები;

საკონკურსო საბუთების მიღება იწარმოებს სსიპ-ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტში, მისამართზე - ქ. თბილისი, ე. მინდელის ქ. №10, ოთახი №315 ან ელექტრონულად ელ.ფოსტაზე info@mmi.ge 2019 წლის 21 ივნისიდან 25 ივნისის ჩათვლით. კონკურსის ჩატარების ზუსტ თარიღს გაცნობებთ ელ.ფოსტის ან ტელეფონის საშუალებით.

დამატებითი ინფორმაციისათვის (სამუშაოს აღწერა და საკვალიფიკაციო მოთხოვნები) ეწვიეთ www.mmi.ge, ან დარეკეთ ტელეფონზე 2380716; 577392776;

ბიბილოვი ირანს ეკეკლუცება

ცხინვალის ოკუპირებული რეგიონის დე ფაქტო ლიდერმა ანატოლი ბიბილოვმა ირანის ხელისუფლებას სანქციებისთვის გვერდის ასავლელად ოკუპირებული რეგიონის ტერიტორიის გამოყენება შესთავაზა. ეს წინადადება მან ცხინვალში ჩასული ირანელი დელათინოამერიკელი ჟურნალისტებისთვის მიცემულ ინტერვიუში გააჟღერა.

„რუსეთი აცხადებს: თუ ირანმა ყველა მოთხოვნა შეასრულა, რატომ უნდა იყოს გამოყენებული მის მიმართ სანქციები. ამ კონტექსტში სამხრეთ ოსეთის გავლით თანამშრომლობაც ირანის მიმართ სანქციების ფაქტორის შემცირებას შეუწყობდა ხელს. ჩვენ გვსურს, ჩამოვაყალიბოთ ირანთან ურთიერთობა და, რაღა თქმა უნდა, ვიმედოვნებთ, რომ ადრე თუ გვიან, ირანი „სამხრეთ ოსეთს“ აღიარებს“, — განაცხადა ბიბილოვმა და დასძინა, რომ „სამხრეთ ოსეთი“ ეძებს გზებს დიალოგისა და ურთიერთობების ჩამოყალიბებისთვის ყველა სახელმწიფოსთან“.

ირანის მხრიდან ცხინვალის ოკუპირებული რეგიონის შესაძლო აღიარების პერსპექტივასთან დაკავშირებით რუს ანალიტიკოსებს განსხვავებული მოსაზრებები აქვთ, თუმცა მოვლენათა მსგავსი განვითარების მტკიცე რწმენა არც ერთ მათგანს არ გააჩნია.

პოლიტოლოგ **ალექსეი მალაშეკოს** განცხადებით, „ახლა ისეთი დროა, ადამიანს არაფერი უნდა გაგიკვირდეს, თუმცა ამერიკისგან განსხვავებით, ევროპის გაღიზიანება ირანს ნამდვილად არ აწყობს და ნაკლებ სავარაუდოა, მსგავსი ნაბიჯი გადადგას“: **„მესმის, რომ ირანი ამჟამად ამერიკას ედიდგულება და ამ ფონზე ძნელია, მისი მხრიდან რამე გამორიცხო დანარჩენი მსოფლიოს გასაღიზიანებლად. თუმცა, მეორე მხრივ, ამერიკელების გაღიზიანების მცდელობა ერთია, ხოლო ევროპის — სულ სხვა და არ მგონია, გარისკონ თავისი ურთიერთობები ევროპასთან, რომელიც სამხრეთ ოსეთის აღიარების წინააღმდეგია“.**

მისი კოლეგა **ნიკოლაი სილაევი** ირანის მხრიდან ცხინვალის ოკუპირებული რეგიონის აღიარებას არ ელის, ყოველ შემთხვევაში, უახლოეს მომავალში მსგავს პერსპექტივას ვერ ხედავს. პოლიტოლოგი მიუთითებს, რომ აღიარებების ისტორიებში ყოველთვის მნიშვნელოვანია კონტექსტი: **„რატომ აღიარებს ზოგიერთი ლათინური ქვეყანა „სამხრეთ ოსეთსა“ და აფხაზეთს? — ეს მათი მხრიდან აშშ-ის მისამართით ერთგვარი გზავნილია. ისინი არაფრით რისკავენ, არაფერს კარგავენ, რადგან მათთვის საქართველოსთან ურთიერთობები საკმარისად მნიშვნელოვანი არ არის და ამის გათვალისწინებით, ცდილობენ, მათთვის რისკის გარეშე უჩვენონ აშშ-ს საკუთარი დამოუკიდებლობა, რუსეთს კი — მხარდაჭერა. რაც შეეხება ირანს, ნაკლებ სავარაუდოა, აშშ-ირანის ურთიერთობების გამწვავებამ ამ უკანასკნელის მხრიდან აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მიმართულებით რაიმე სიახლე გამოიწვიოს: ირანს ეს დიდს ვერაფერს მისცემს, რადგან რუსეთთან ისედაც ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობები აქვს, ხოლო სამეზობლოში ხისტი მოძრაობების შესრულება ნაკლებად აძლევს ხელს“.**

ირანის მხრიდან მსგავსი ნაბიჯის გადადგმას არც ქართველი კონფლიქტოლოგი **გიორგი კანაშვილი** ელის.

„რუსეთი ე.წ. სამხრეთ ოსეთს ხშირად იყენებს გარკვეული ფინანსური ტრანზაქციებისთვის. ასეთი სქემა მუშაობს: მაგალითად, საჭიროა თანხის გადარიცხვა დონეცკისა და ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკებისთვის; იქიდან გამომდინარე, რომ რუსეთი მათ ოფიციალურად არ აღიარებს, ფინანსური სახსრების ტრანზაქცია რთულია. სამაგიეროდ რუსეთი აღიარებს „სამხრეთ ოსეთს“, ის კი, თავის მხრივ — დონეცკისა და ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკებს და რუსეთი „სამხრეთ ოსეთს“ ამ კონტექსტში ძალიან ხშირად იყენებს. რაც შეეხება ირანის მიერ „სამხრეთ ოსეთის“ დამოუკიდებლობის შესაძლო აღიარებას და ამ რეგიონის თანხის შემოვლითი გზით გადარიცხვისთვის გამოყენებას, აქამდე ირანი საქართველოსთან მიმართებაში ყოველთვის კორექტულად იქცეოდნენ და ეჭვი მეპარება, ამ მიმართულებით რაიმე შეიცვალოს“, — განუცხადა „აქცენტს“ კანაშვილმა.

მისივე განმარტებით, აქ საქმე მხოლოდ ურთიერთობას და ირანის საქართველოსადმი დამოკიდებულებას არ ეხება: **„ირანს თავად მრავლად აქვს სეპარატიზმის პრობლემები. პრინციპში, ირანი დაფუძნებულია ეთნიკურ მრავალფეროვნებაზე და ამ მრავალფეროვნების წარმატებით მართვაზე. ამდენად, ისინი სეპარატიზმის წახალისებას არსად ახდენენ“.**

ცნობისთვის:

- **საქართველოს ოკუპირებული რეგიონების — სამაჩაბლოსა და აფხაზეთის დამოუკიდებლობა რუსეთის კვალდაკვალ მისმა მოკავშირეებმა ვენესუელამ და ნიკარაგუამ, ასევე კუნძულოვანმა ნაურუმ აღიარეს, 2018 წელს კი მათ სირიის კრემლის მიერ მხარდაჭერილი რეჟიმი მიაშვათ.**
- **საქართველოს ოკუპირებული რეგიონების დამოუკიდებლობა 2011 წელს კუნძულოვან ვანუატუსა და ტუვალუსაც ჰქონდათ აღირებული, თუმცა მოგვიანებით მათმა ხელისუფლებებმა ეს გადაწყვეტილება გააუქმეს.**
- **ასევე აპირებს აღიარების გადაწყვეტილების გაწვევას ვენესუელის სათავეში მოსვლის შემთხვევაში ქვეყნის დროებითი პრეზიდენტი, წინააღმდეგობის მოძრაობის ლიდერი ხუან გუაიდო.**

ყირიმის ანექსიაზე ჩეხი სასტუმროს მეპატრონის პროტესტი და გამარჯვება

ხუთი წლის წინათ, ტომაშ კრჩმარჟმა, ჩეხეთის ქალაქ ოსტრავის ცენტრში მდებარე ოთხვარსკვლავიანი სასტუმროს მფლობელმა, კარზე ჩამოკიდა შემდეგი განცხადება: „2014 წლის 23 აპრილიდან სასტუმროში გაჩერებაზე უარს ვეუბნებით რუსეთის ფედერაციის მოქალაქეებს. ამის მიზეზია ყირიმის ანექსია. წინასწარ ბოდიშს ვიხდით რუსეთის ფედერაციის წესიერი მოქალაქეების წინაშე“.

სულ რამდენიმე კვირაში სავაჭრო ინსპექციამ მეწარმეს ჯარიმა გამოუწერა, მაგრამ კრჩმარჟმა გადაწყვიტა ამის სასამართლოში გასაჩივრება. საქმე ხუთი წლის განმავლობაში განიხილებოდა სხვადასხვა ინსტანციაში. 30 აპრილს კი ჩეხეთის საკონსტიტუციო სასამართლომ აღიარა, რომ **ფულადი სასჯელი უსაფუძვლო იყო: ამიერიდან ჩეხეთის ნებისმიერი სასტუმროს მფლობელს შეეძლება, ოსტრავის სასტუმროს მაგალითს მიბაძოს.**

ჩეხეთის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში ახსნილია, რომ **მეწარმე, იმ შემთხვევაშიც კი, როცა ის სტუმრებისგან წერილობით ითხოვს იმის დადასტურებას, რომ არ ეთანხმება ყირიმის ანექსიას, საზოგადოების საკეთილდღეოდ იქცევა, ვინაიდან ეს მოქმედება მთლიანად თანხვედრაშია ჩეხეთის საგარეო პოლიტიკასთან და საერთაშორისო ორგანიზაციების პოლიტიკასთან**. ამის შესახებ მოსამართლე **ვოიტეხ შიმიჩეკმა** განუცხადა ჟურნალისტებს გადაწყვეტილების გამოქვეყნების შემდეგ. მისი აზრით, საქმე არ ეხება დისკრიმინაციას, ვინაიდან ევროპის კავშირში ხშირ შემთხვევაში მოქმედებს განსხვავებული წესები იმათთვის, ვისაც ევროკავშირის ერთ-ერთი ქვეყნის პასპორტი აქვს, და იმათთვის, ვინც არ არის ევროკავშირის წევრი ქვეყნის მოქალაქე. ამიტომ მოცემულ შემთხვევაში შეუძლებელია იმ კანონების გამოყენება, რომლებიც ეროვნული და რასობრივი ნიშნით დისკრიმინაციას კრძალავს. სასამართლომ ჩათვალა, რომ სასტუმროს მფლობელს უფლება ჰქონდა, მიეღო გადაწყვეტილება, რომელიც მის სასტუმროს მისცემდა საშუალებას, განსხვავებული ყოფილიყო სხვებისგან, მიუხედავად იმისა, რომ ეს განსხვავება პოლიტიკურ შეხედულებებს შეეხება. სასამართლოს აზრით, მიზეზები, რომელთა გამოც ამბობდა სასტუმროს მფლობელი უარს კონკრეტული ადამიანების მომსახურებაზე, არ არის ზიზღის გამოვლინება ან არ არღვევს საერთაშორისო სამართალს.

ჩეხეთის სავაჭრო ინსპექციას, რომელიც სასამართლოში მოსარჩელის როლში გამოდის, კიდევ აქვს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების საშუალება.

ოთხვარსკვლავიანი სასტუმრო Brioni Boutique Hotel-ი ოსტრავის ცენტრში მდებარეობს. ეს ქალაქი ჩეხეთის ერთ-ერთი სამრეწველო ცენტრია და იქ ხშირად ჩადიან ხოლმე რუსები საქმიანი ვიზიტით. ოსტრავაში არის რუსეთის საკონსულო, 2008 წლიდან კი ქალაქში ყოველწლიურად იმართება რუსეთის დღეები: ეს არის არა მხოლოდ კულტურული ღონისძიებები, არამედ მოიცავს კონფერენციასაც, რომელზეც ჩეხ მეწარმეებს შეუძლიათ, საქმიანი კონტაქტები დაამყარონ თავიანთ რუს კოლეგებთან. და სწორედ ამ ქალაქში გაჩნდა ხუთი წლის წინათ განცხადება რუსეთის მოქალაქეებისთვის მომსახურებაზე უარით. ოღონდ განცხადება რუსეთის ყველა მოქალაქეს არ გულისხმობდა, მისი ადრესატები იყვნენ ისინი, ვისაც არ სურს, ხელი მოაწეროს ყირიმში რუსეთის მოქმედების დამგმობ განცხადებას.

ოსტრავის სასტუმროს მფლობელი **ტომაშ კრჩმარჟი** ინტერვიუში ხსნის, რატომ მიიღო ეს გადაწყვეტილება და რა რეაქცია ჰქონდათ მასზე:

— აი, ასეთი ემოციური რეაქცია მქონდა ყირიმის ანექსიაზე. წინასწარ ყველას ვაფრთხილებდი, არ მინდოდა, რომ ვინმე ქუჩაში დარჩენილიყო. მინდოდა, შანსი მიმეცა იმათთვის, ვინც წინააღმდეგი იყო, და წინასწარ ვთხოვდი განცხადებისთვის ხელის მოწერას. ვინც ეს გააკეთა, შეეძლო ჩვენთან დარჩენა, ვინც არა — არ შეეძლო.

— ამ თხოვნაზე უარყოფითი რეაქცია თუ ჰქონდათ?

— კი, რა თქმა უნდა. თუმცა მაშინ ის არ ყოფილა ისე ემოციური, როგორც ახლა — სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ. ახლა ნეგატიური გამოხმაურებების ქარიშხალი ამოვარდა. მაგრამ მთლიანობაში ჩემი სტუმრებიდან მაქსიმუმ ათი პროცენტი მოეკიდა ჩემს თხოვნას უარყოფითად. იძულებული გავხდით, პოლიციისთვის გადაგვეცა ზოგი წერილობითი რეაქცია, რაც ჩვენი სასტუმროს მისამართით მივიღეთ უკანასკნელ დღეებში. ეს უკვე ნამეტანი იყო. სიკვდილით მემუქრებოდნენ. ეს ჩეხები იყვნენ, რუსები არა.

— და რუსები? მათი რეაქცია როგორი იყო?

— ბევრმა მათგანმა მოაწერა ხელი და მშვიდად ცხოვრობდა აქ. სინამდვილეში რუსებისგან არავითარი უარყოფითი რეაქცია არ ყოფილა. იმიტომ, რომ წინასწარ იცოდნენ ჩვენი პირობების შესახებ და ვინც წინააღმდეგი იყო, გადაწყვიტა, სხვა ადგილას გაჩერებულიყო. ანდა სხვანაირად წყვეტდნენ ამ პრობლემას. ჩვენგან რუსეთის არც ერთი მოქალაქე არ წასულა სკანდალით. ყველამ მოაწერა ხელი. ახლა ამ დოკუმენტებს სასტუმროს არქივში ვინახავთ, როგორც იტყვიან, უკუნითი უკუნისამდე.

— შეზღუდვები, რომლებიც თქვენ შემოიღეთ სასტუმროში, მხოლოდ ორ კვირას მოქმედებდა. ამის შემდეგ რატომ აღარ ითხოვდით რუსეთის მოქალაქეებისგან წერილობით დასტურს, რომ არ ეთანხმებიან ყირიმის ანექსიას?

— მე ალბათ მსოფლიოში პირველი ვიყავი, ვინც შემოიღო ასეთი შეზღუდვები, და უნდა ვთქვა, რომ ჩემს მაგალითს სხვებმაც მიბაძეს. მაგრამ დაიწყეს მთელი ამ ტალღის ჩახშობა, ერთი მხრივ, სხვადასხვა სახელმწიფოებრივი სანქციით, მეორე მხრივ, ჩემ წინააღმდეგ მასირებული იერიში დაიწყეს მაკონტროლებელმა ორგანოებმა. სავაჭრო ინსპექციამ ჯარიმა გამოგვიწერა, შემდეგ დაიწყო სხვადასხვა სახის შემოწმებები, რომლებიც ცხოვრებას გვირთულებდა. ყოველივე ამის გამო ვეღარ გავაგრძელეთ სტუმრების მიმართ მოთხოვნების მოქმედება.

— თავდაპირველი იმპულსი იყო ის, რომ არ ეთანხმებოდით ანექსიას. რუსეთის ამჟამინდელ პოლიტიკას როგორ აფასებთ?

— მე ვფიქრობ, ყველა ყველაფერს ხედავს. აი, ახლახან პუტინმა დონბასში რუსული პასპორტების მიღება გააიოლა. აქ ყველაფერი გასაგებია — ის თავისას არ იშლის. ერთი მხრით, გარკვეული ეფექტი აქვს მეზობელი ქვეყნების რეაქციას და ევროპის კავშირისა და სხვა ქვეყნების მიერ შემოღებულ სანქციებს. მაგრამ მთლიანობაში ყველაფერი ცუდი მიმართულებით მიდის. რუსეთის იმპერიული პოლიტიკა არ იცვლება, — მიაჩნია ჩეხ სასტუმროს მეპატრონეს ტომაშ კრჩმარჟს.

www.radiotavisupleba.ge

გოჩა კურდღელია:

ინფრასტრუქტურული პროექტების სიმრავლე ფოთის მომავალი განვითარების პერსპექტივას რეალურს ხდის!

როგორც ყველგან, ფოთშიც პოლიტიკური ბატალიები არახალია და უნდა გვახსოვდეს, რომ ქალაქი ერთია და იგი ყველას საზრუნავია.

წელიწადნახევარი გავიდა ქალაქ ფოთის მერად ბატონი გოჩა კურდღელიას არჩევიდან და ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ გაკეთდა ქალაქის გეოსტრატეგიული ფუნქციის რეალიზაციისათვის. ამ და სხვა პრობლემურ საკითხებზე ვესაუბრებით ქ. ფოთის მერს.

ფოთის ხვალინდელი დღე სანავსადგურო და საზღვაო დარგების განვითარებას უკავშირდება... ორი ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობაზე 5000 კაცი დასაქმდება

— ბატონო გოჩა, თქვენი მერად არჩევიდან წელიწადნახევრის შემდეგ რას გვეტყოდით, რამდენად შეძელით ამომრჩეველთა დანაპირების შესრულება?

— ინფრასტრუქტურული პროექტების სიმრავლე ქალაქის მომავალი განვითარების პერსპექტივას რეალურს ხდის. ფოთის მომავალი სანავსადგურო და საზღვაო დარგების განვითარებას უკავშირდება... ორი ახალი ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობაზე 5000 კაცი დასაქმდება.

ახლახან მოეწერა ხელი ამერიკის შეერთებული შტატების კერძო უცხოური ინვესტიციების კორპორაციასა და „პეის ჯგუფს“ შორის ძალიან მნიშვნელოვან ხელშეკრულებას, რომლის თანახმად, ქალაქ ფოთში აშენდება ახალი პორტი და ტერმინალი.

აღსანიშნავია, რომ პარალელურად „აიპმ ტერმინალმა“ ეკონომიკის სამინისტროში წარადგინა ახალი პროექტი ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობისათვის აშშ-ის თანაინვესტირების ფონდიდან თანხის გამოყოფის თაობაზე, რათა მიიღოს მსოფლიოში ყველაზე დიდი წყალწყვის გემები. ეს საშუალებას მოგვცემს, საქართველო გადავაქციოთ რეგიონისთვის ეკონომიკურ ცენტრად, ხოლო ამ ყველაფერში ლოჯისტიკას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ეს იქნება თანამედროვე სატერმინალო კომპლექსი, რომელიც დიდად დაეტყობა ქვეყნის და რეგიონალურ ეკონომიკას.

— ქალაქის ეკონომიკური წინსვლა, მისი სტრატეგიული და მრავალდარგობრივი თავისებურებებიდან გამომდინარე, მეცნიერულ მხარდაჭერას მოითხოვს. ასევე პრიორიტეტულია ახალი კადრების მომზადება ტრადიციული დარგების აღორძინებისათვის.

— სანავსადგურო ქალაქის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიასა და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას შორის ურთიერთთანამშრომლობის შესახებ მემორანდუმი გაფორმდა. ქართველი მეცნიერები მზადყოფნას გამოთქვამენ, მიიღონ მონაწილეობა საზღვაო ქალაქის პერსპექტიული განვითარების, ეკონომიკური, კულტურული, საგანმანათლებლო პოტენციალის ამაღლების და განვითარების საქმეში — ეკოლოგიური, საზღვაო, საგანმანათლებლო და ქალაქთან დაკავშირებული სხვა პრობლემების გადაწყვეტაში.

მინდა, მადლობა გადავუხადო მხარდაჭერისათვის აკადემიის პრეზიდენტს, ბატონ გიორგი კვესიტაძეს, ფოთის ყოფილ მაჟორიტარ დეპუტატს, ბატონ პეტრე ბერაიას, ფოთელთა საზოგადოების ხელმძღვანელს სპარტაკ გოგინავას, ბატონ გივი აბდუშელიშვილს, მშობლიური ქალაქის პრობლემებით დაინტერესებისა და საამისოდ პრაქტიკული გზების ძიებისათვის.

მნიშვნელოვან მემორანდუმს მოეწერა ხელი ბათუმის საზღვაო აკადემიასთან, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში სახელმწიფო რწმუნებულის ალექსანდრე მოწერელიას უშუალო ჩართულობით, მიღებულია გადაწყვეტილება ყოფილი ჰიდრომელიორაციული ტექნიკუმის შენობის რეაბილიტაციისა და იქ საზღვაო სასწავლებლის გახსნის შესახებ. ახალგაზრდები დაეუფლებიან იმ სპეციალობებს, რომელიც ქალაქში საზღვაო საქმის აღორძინებას უკავშირდება.

— თქვენ ბიზნესმენი ხართ და თქვენგან უპირველესად ამ დარგის ხელშეწყობას მოელიან. მხედველობაში გვაქვს მცირე, საშუალო და მსხვილი ბიზნესი. დიდ იმედს ვამყარებდით თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაზე... სამუშაოს არარსებობის გამო ადამიანები ტოვებენ ქალაქს, ქვეყანას.

— მცირე ბიზნესის ხელშეწყობისთვის შექმნილია ფონდი, გასცემს დაბალპროცენტიან სესხებს, მოქმედებს სტარტაპები. ასევე ტარდება ღონისძიებები საინვესტიციო გარემოს შესაქმნელად. პრიორიტეტია ქალაქის გეოპოლიტიკური მდგომარეობა, ვინაიდან ფოთი „აბრეშუმის გზის“ საკვანძო ქალაქი იყო ოდითგან. რაც შეეხება სამუშაო ადგილებს, ამუშავდა რამდენიმე მსხვილი სამკერვალო ფაბრიკა, კომპანია „აჭარა ტექსტილიმ“ 2018 წელს 1500-ზე მეტი ადამიანი დაასაქმა. სრული დატვირთვით ამუშავების შემდეგ დასაქმებულთა რაოდენობა 3000-ს მიაღწევს. მთლიანად რეგიონში „აწარმოე საქართველოში და მიკრო და მცირე მეწარმეობის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამების“ ფარგლებში 2018-2021 წლებში 6 მილიონ ლარამდე თანხა გაიცემა და 900-მდე ახალი სამუშაო ადგილი შეიქმნება, მათ შორის 300-მდე უშუალოდ ფოთში. როგორც ზემოთ აღვნიშნე, ორი ახალი პორტის მშენებლობაზე 5000 კაცი დასაქმდება.

— ბატონო გოჩა, ქალაქში გაჭიანურდა წყალარინების სისტემის მშენებლობა.

— სამწუხაროდ, წყალარინების სისტემის მშენებლობასთან დაკავშირებით არის რიგი პრობლემები. ვადევნებთ თვალს მშენებლობის ტემპებს, რაც ნამდვილად არადამაკმაყოფილებელია. „გაერთიანებული წყალმომარაგების“ კომპანიის წარმომადგენლებთან ერთად, შევხვდით „თაჰალ V“-ის სამუშაო ჯგუფს, რომელიც აღნიშნულ პროექტს ასრულებს და მოვითხოვეთ ვადების დაჩქარება. ამ ეტაპზე „თაჰალ V“-ის ექვსი ბრიგადა რამდენიმე ლოკაციაზე მუშაობს. კომპანიის მხრიდან არის დაპირება, რომ გაიზრდება სამუშაო ჯგუფების რაოდენობა. თუკი არ მოხდა ხელშეკრულებაში გათვალისწინებული ვადების დაცვა, არ გამოვრიცხავ, დადგეს საკითხი, გადაიხედოს კომპანია „თაჰალ“-თან გაფორმებული ხელშეკრულება.

— ქალაქისთვის უდიდეს პრობლემას წარმოადგენდა ავარიული წყალგამყოფი ხიდი რიონზე. ასევე თქვენ ამომრჩევლებს დაჰპირდით ქალაქის შემოსასვლელი ხიდის მშენებლობას.

— ჰიდროკვანძის რეაბილიტაცია იყო ჩვენი გუნდის დაპირება და ჩვენ ეს დაპირება შევასრულთ კიდეც.

მდინარე რიონის სარეგულაციო ჰიდროკვანძის რეაბილიტაციისთვის 1 367 815-მდე ლარი დაიხარჯა.

ᲑᲝᲢᲐᲜᲘᲙᲣᲠ ᲑᲐᲦᲨᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲙᲕᲚᲔᲕᲘᲗᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ ᲐᲨᲔᲜᲓᲔᲑᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ეროვნული ბოტანიკური ბაღის ორგანიზებით, პირველი, საერთაშორისო, სამდღიანი, სამეცნიერო კონფერენცია „საქართველოს ბიომრავალფეროვნების კვლევისა და კონსერვაციის მიღწევები და პერსპექტივები“ გაიხსნა.

კონფერენციის გახსნის ღონისძიებას დედაქალაქის მერი კახა კალაძე დაესწრო და კონფერენციის მონაწილეებს სიტყვით მიმართა. კახა კალაძემ საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის ცენტრის მშენებლობა, რომელიც გააერთიანებს სამეცნიერო ლაბორატორიების, სამეცნიერო ბიბლიოთეკის, ადმინისტრაციული და ეკოსაგანმანათლებლო საქმიანობისათვის აუცილებელ ინფრასტრუქტურას. მჯერა, რომ ახალი ცენტრის მშენებლობა ხელს შეუწყობს საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის შესაძლებლობების გაძლიერებას“, — განაცხადა დედაქალაქის მერმა.

კონფერენციის მიზანია საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის თანამშრომლებს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში მაქსიმალური მხარდაჭერა აღუთქვა და აღნიშნა, რომ 2019 წელს ბოტანიკური ბაღისთვის ახალი კვლევითი ცენტრის მშენებლობა დაიწყება.

„მოხარული ვარ, რომ თბილისი მასპინძლობს პირველ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციას, რომელიც დაკავშირებულია საქართველოს ბიომრავალფეროვნების მეცნიერული შესწავლისა და მისი კონსერვაციის საკითხებთან. საქართველოს ბიომრავალფეროვნებას, მათ შორის მცენარეთა მრავალფეროვნებას, განსაკუთრებული დაცვა და მოფრთხილება ესაჭიროება. მივესალმები იმ ფაქტს, რომ საქართველოს ეროვნულ ბოტანიკურ ბაღს, პარტნიორი საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით, მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს საქართველოს მცენარეთა მრავალფეროვნების შესწავლისა და კონსერვაციის საქმეში.

ჩვენი ამოცანაა, გაძლიერდეს და გააქტიურდეს ბოტანიკური ბაღის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა, განახლდეს მცენარეთა კოლექციები და ბაღმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს გარემოს დაცვის და მცენარეთა მრავალფეროვნების შენარჩუნების საქმეში.

თბილისის მერიის გადაწყვეტილებითა და მხარდაჭერით 2019 წელს დაიწყება ბოტანიკური ბაღისათვის ახალი კვლევითი ცენტრის მშენებლობა, რომელიც

ლოში მცენარეთა კონსერვაციის შედგების გაანალიზება, არსებული პრობლემების გააზრება, მცენარეთა კონსერვაციის საკითხებზე თანამშრომლობის ეროვნული პლატფორმის შექმნა და სტრატეგიული ხედვების ფორმირება.

ღონისძიების ფარგლებში, ბიომრავალფეროვნების საერთაშორისო დღეს, 22 მაისს, გაფორმდება თანამშრომლობის მემორანდუმი მცენარეთა კოლექციების გაცვლასა და მცენარეთა კონსერვაციასთან დაკავშირებით საქართველოს ეროვნულ ბოტანიკურ ბაღსა და მისურის ბოტანიკურ ბაღს შორის. ასევე, გაფორმდება მნიშვნელოვანი დოკუმენტი საქართველოში მოქმედ, გარემოსდაცვით არასამთავრობო ორგანიზაციებს, პასუხისმგებელ სახელმწიფო უწყებებს, სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებსა და ბოტანიკურ ბაღებს შორის, საქართველოს მცენარეთა კონსერვაციის ეროვნული ქსელის შექმნის თაობაზე, რომელიც 15 სუბიექტს გააერთიანებს.

კონფერენცია, რომელშიც ბოტანიკური ბაღის ორმოცზე მეტი პარტნიორი ორგანიზაციის 110 წარმომადგენელი იღებს მონაწილეობას 13 ქვეყნიდან, სამი დღე იმუშავებს სამეცნიერო და პლენარული სესიების, მრგვალი მაგიდისა და ვორქშოპების ფორმატში.

ᲑᲐᲗᲣᲛᲘ ᲓᲐ ᲚᲘᲐᲜᲘᲣᲜᲒᲐᲜᲘ ᲓᲐᲛᲔᲒᲝᲑᲠᲓᲜᲔᲚ

ᲑᲐᲗᲣᲛᲘ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ქალაქ ლიანიუნგანის დელეგაცია ეწვია.

ვიზიტის ფარგლებში, ბათუმის მერიაში ქალაქ ლიანიუნგანსა და ქალაქ ბათუმს შორის დამეგობრების მემორანდუმი გაფორმდა.

დოკუმენტი ითვალისწინებს ორ ქალაქს შორის ორმხრივი ურთიერთობების გაღრმავებას, საერთაშორისო თანამშრომლობის გაუმჯობესებასა და ტურიზმის, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სფეროების განვითარებას.

„დღეს ჩინეთის ქალაქ ლიანიუნგანთან ხელი მოვაწერეთ თანამშრომლობის მემორანდუმს განათლების, კულტურის, სპორტისა და ეკონომიკის სფეროში. ეს არის ქალაქი, რომლის მოსახლეობის რაოდენობაც 4 მილიონს შეადგენს და ვფიქრობ, ყველასათვის გასაგებია, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ჩვენს ქალაქებს შორის მეგობრობისა და პარტნიორული ურთიერთობის ჩამოყალიბება. გვაქვს ბევრი გადაკვეთის წერტილი. ჩვენი პარტნიორებისთვის მნიშვნელოვანი და საინტერესოა როგორც ბათუმის მდებარეობა, ასევე მისი ეკონომიკური და ლოჯისტიკური შესაძლებლობები“, — განაცხადა ბათუმის მერმა ლაშა კომახიძემ.

რაც შეეხება ახალი ხიდის მშენებლობას, მუშავდება პროექტი, რომელშიც გათვალისწინებული იქნება გარემოს დამცველი ორგანიზაციების მოთხოვნები, რაც უკავშირდება მდინარე რიონის ბინადარი კოლხური ზუთხის დაცვას.

— ფოთს აწუხებს პრობლემები, რომელსაც მარადიულს უწოდებენ, ესაა ზღვის სანაპიროს გამაგრება, იტბორება ქალაქი, კვდება პალიასტომი და კაპარჭინის ეკოსისტემა.

— ეს საკითხებიც დადებითად წყდება. ჩვენ გამოვაცხადეთ ტენდერი მდ. კაპარჭინის 3 700-მეტრიანი ზოლის გაწმენდაზე. პროექტის ღირებულება 1 500 000 ლარია, იგი რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით განხორციელდება.

პროექტი გულისხმობს მდინარე კაპარჭინის გამტარუნარიანობის აღდგენას, რის შედეგადაც მდინარე კაპარჭინაზე შესაძლებელი იქნება სანიჩბოსნო სპორტული ღონისძიებების ჩატარება.

პალიასტომის ტბის გამტკნარებასთან დაკავშირებით სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად, ვამუშავებთ პროექტს მდინარე ფიჩორის პალიასტომის ტბასთან შემაერთებელი ბუნებრივი არხის აღდგენაზე, რაშიც ჩართული არიან მეცნიერებათა აკადემიის სპეციალისტებიც.

— ფოთელების დიდი ხნის ოცნებაა თანამედროვე დასასვენებელი საზღვაო კომპლექსების აშენება მალთაყვასა და კუნძულის უბანში.

— ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მალთაყვის უბნის განვითარებისთვის საჭირო რიგ ღონისძიებათა განხორციელების თაობაზე საქართველოს მთავრობამ 2017 წელს მიიღო განკარგულება, რომლის შესაბამისად საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და შპს „ურბანიკას“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, შემუშავდა ქალაქმშენებლობითი დოკუმენტი — ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მალთაყვის უბნის განაშენიანების რეგულირების გეგმა. გარკვეული სამუშაოები ჩატარდა, თუმცა ხარვეზებით, რომლის აღმოსაფხვრელად უკვე დავსახეთ ღონისძიებები.

კუნძულის სანაპირო ზოლის რეაბილიტაციის სამუშაოებში, რომელიც წელს უნდა დაიწყოს რეგიონალური განვითარების ფონდთან ერთად ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით და რომელზეც 5 მლნ. ლარი დაიხარჯება, აუცილებლად იქნება გათვალისწინებული გარკვეული სამუშაოები ნაპირგამაგრებითი კუთხითაც. მინდა აღვნიშნო, რომ ინფრასტრუქტურის მინისტრის ბრძანებით შექმნილია სპეციალური სამუშაო ჯგუფი, რომელიც აღნიშნულ საკითხზე იმუშავებს.

პროექტი ითვალისწინებს ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებას, ზოგ შემთხვევაში ეს არის საოჯახო სასტუმროები, ზოგ შემთხვევაში — სასტუმროები ბუნების მოყვარულთათვის და დიდი აქცენტია გაკეთებული სპორტული ტურიზმის განვითარებაზე.

ასევე განხორციელდა მცირე პროექტები, დიდების მემორიალის კეთილმოწყობა, უპოვართა სახლის შეკეთება, ფარნავაზის ქუჩის განახლება, საცურაო აუზისა და სპორტკომპლექსის მშენებლობა აქტიურ ფაზაშია, გათვალისწინებულია ქალაქში სანერგე მეურნეობის აშენება, რაც საშუალებას მოგვცემს, უფრო გავალამაზოთ და გავამწვანოთ ჩვენი ქალაქი. მიმდინარეობს ელექტროქვესადგურებისა და სხვა კომუნიკაციების განახლება, თეატრის რემონტი, საზაფხულოდ პლაჟების კეთილმოწყობა, სამაშველო სამსახურების შესაბამისი ტექნიკით აღჭურვა, დაწყებულია ზღვის ზოლის განათების სამუშაოები, კერძო პირებს საშუალება ექნებათ, აუქციონის პირობებით მოაწყონ სავაჭრო ობიექტები.

— ტურიზმის განვითარება ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად არის მიჩნეული.

— ამ საკითხს კომპლექსურად უნდა მივუდგეთ, იგი მოიცავს კულტურისა და დასვენების კერებს, სასტუმროებს, გზებს და ა. შ. ჩვენ კარგი ბაზა გვაქვს, ზღვა, მალთაყვისა და კოლხეთის ეროვნული პარკები უნიკალური პირველყოფილი ბუნებით. ამ მიმართულებით მუშაობა დაწყებულია, რაზედაც ზემოთ მოგახსენეთ. ესაა ზღვის სანაპირო ზოლის კეთილმოწყობა და რაც მთავარია, აქვე იგეგმება წყალსათხილამურო ინფრასტრუქტურის გაფართოება.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო ფოთის კოლხური კულტურის მუზეუმის რეაბილიტაციას განახორციელებს. სამუშაოები მალე დაიწყება.

აქვე მინდა გაცნობოთ, რომ ფოთის მუნიციპალიტეტის მერია კულტურისა და დასვენების ცენტრალურ პარკში მასშტაბურ სარეკონსტრუქციო სამუშაოებს გეგმავს.

— ქალაქი, სადაც დაირწა ფეხბურთის აკვანი, ბოლო დროს ვერ დაიკვეხნის სპორტის ამ სახეობაში დიდი წარმატებებით. ამის მიზეზი საფეხბურთო სტადიონის არქონაც იყო ალბათ?

— ფოთში საფეხბურთო სტადიონის მშენებლობის პირველი ეტაპი დასრულდა, რომელიც დასავლეთ ტრიბუნის, შიდა და გარე კომუნიკაციების, გასახდელების, საშხაპეების, სათავსოების მშენებლობასა და ტრიბუნის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობას ითვალისწინებდა. შედეგად გვაქვს ევროპული სტანდარტის სტადიონი და მოედნის მწვანე საფარი, რომელიც ფეხბურთის ფედერაციამ გვაჩუქა.

საფეხბურთო სტადიონის სამშენებლო სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „ელიტა ბურჯი“ ახორციელებდა.

აქვე აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ქალაქს მალე კიდევ ერთი განახლებული სტადიონი შეემატება. ფოთის საფეხბურთო სკოლის სტადიონზე ფეხბურთის ფედერაციამ სპორტული კომპლექსის მშენებლობა დაიწყო.

ფოთში სპორტული კომპლექსისა და საცურაო აუზის მშენებლობა მიმდინარეობს. ობიექტზე დასრულებულია ფუნდამენტის ჩაყრის სამუშაოები და კომპანია, პროექტის შესაბამისად, შემდგომი სამშენებლო პროცესის დასაწყებად ემზადება.

პროექტი ფოთის მაჟორიტარი დეპუტატის ირაკლი ხახუბიას უშუალო ჩართულობით ხორციელდება.

— ბატონო გოჩა, როგორც ჩანს, ბევრი რამ არის გაკეთებული, მაგრამ უმთავრესი პრობლემა ფოთელთა დასაქმებაა, რათა არ დატოვონ ქალაქი და ქვეყანა!

— წელიწადნახევარი, ალბათ, არ არის საკმარისი ყველა დანაპირების შესასრულებლად, ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი, რათა ფოთი-ფაზისი, უძველესი ლეგენდების ქალაქი იქცეს ევროპული ტიპის ქალაქად. ფოთი, როგორც თვითმმართველი ქალაქი, თავისი საუკუნოვანი ტრადიციებით უნდა იქცეს შედეგზე ორიენტირებული და პოლიტიკური კონსენსუსის მაგალითის მიმცემი ქვეყნის მასშტაბით, რამეთუ იგი ყველა პარტიის ინტერესზე მაღლა დგას, რადგან ქალაქი ერთია თავისი სიხარულითა და დიდი სატკივრით.

სანავსადგურო ინფრასტრუქტურის განვითარება გვაძლევს შანსს, ქალაქის სივრცითი დაგეგმარება, საავტომობილო გზების და სარკინიგზო ხაზების ინფრასტრუქტურა განვავითაროთ ისე, რომ ქალაქი უფრო მეტად დაუკავშირდეს ზღვას. ზღვა ჩვენი სიმდიდრეა და უფრო მეტად უნდა გამოვიყენოთ ღვთის ეს საჩუქარი.

ფოთელთა მოლოდინი, იცხოვრონ ადამიანურად, ჰქონდეთ სამუშაო და მომავლის იმედი, უნდა გავამართლოთ!

— გმადლობთ ინტერვიუსთვის. გისურვებთ წარმატებას!

ᲖᲣᲠᲐᲑ ᲐᲑᲠᲐᲚᲐᲕᲐ,

„სრ“ საკ. კორ

შერლოკ ჰოლმსი ლოგიკის, დედუქციური მეთოდისა და აზროვნების შესახებ

ის ადამიანი, ვინც ყველაფერს კითხულობს, რაც ხელში მოხვდება, იშვიათად თუ დაიკვეხნის თავისი ცოდნის სიღრმით.

* * *

არ არის მოვლენათა ისეთი კომბინაცია, რომლისთვისაც ადამიანის ტვინს განმარტების მისადაგება არ შეეძლოს.

* * *

მე არცროდის არ ვმკითხაობ, ძალიან ცუდი ჩვეულებაა: ლოგიკურად აზროვნების უნარზე დამღუპველად მოქმედებს.

* * *

ყოვლის უფრო ძლიერი გონებაც შეიძლება რომ ერთხელ შეცდეს.

* * *

მეცნიერულ ჭეშმარიტებებს, ერთი თაობისთვის უდავოს, მომდევნო თაობა, როგორც წესი, სიცრუედ აცხადებს.

* * *

არცვინ სულიერი არ დაიმძიმებს მეხსიერებას წვრილმანი ზედმიწევნილობით, თუ ამის საკმაოდ საფუძვლიანი მიზეზი არა აქვს.

* * *

– არა, რა ეშმაკად მინდა ეგ? – სიტყვა გამაწყვეტინა მან მოუთმენლად. – კარგი ეგრე იყვეს, როგორც ამბობ, ჩვენ ვბრუნავთ მზის გარშემო. არადა, მე თუ გავიგებდი, რომ მთვარის გარშემო ვბრუნავთ, ვითომ მევრად წაგვადგებოდა ეს ამბავი ან მე ან ჩემს სამუშაოს?

* * *

დიდი გონებისთვის არცრა წვრილმანი არ არსებობს.

* * *

არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება თეორიის აგება, თუ ხელთ არ გიჭირავთ სუყოველი ფაქტი. სხვაგვარად შეიძლება, რომ მიუკერძოებლობა დაკარგოთ.

* * *

ჩვეულებრივ შენთვის თხზავ არასაბოლოო ჰიპოთეზას და უცდი, ვიდრე შექმნილი ვითარების სრული ცოდნა სულ ნამსხვრევებად არ გიქცევს იმ შენს ჰიპოთეზად სახელდებულ დაშვებას თუ ვარაუდს.

* * *

უპიდურესობამდე არაფრის მიყვანა არ ვარგა.

* * *

– პი ბატონო, ჩამთვალეთ ბენტერად, მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ არ შემიძლია თქვენი აზრებისთვის თვალის მიდევნება. მაგალითად, ვინ მოგახსენათ, რომ ის ჭკვიანია?

პასუხის ნაცვლად ჰოლმსმა შლაპა ჩამოიფხატა. შლაპამ შუბლი ცხვირამდე დაუფარა.

– ხედავთ, რა ზომისაა! – თქვა ჰოლმსმა. – ხომ არ შეიძლება სულ ცარიელი იყვეს აგრერიგად დიდი თავის ქალა.

* * *

არსად ისე საჭირო არ არის დედუქცია, როგორც რელიგიაში.

* * *

დასკვნების გამოტანისა და გაანალიზების ხელოვნება, როგორც ყველა სხვა ხელოვნება, ხანგრძლივი და მეჯითი შრომით მიიღწევა, მაგრამ სიცოცხლე ნამეტანი ხანმოკლეა და ამიტომ არც ერთ მოკვდავს არ შეუძლია ამ საქმეში სრული სრულყოფილების მიღწევა.

* * *

არცთუ ისე ძნელია დასკვნათა ერთ ჯაჭვად ასხმა, სადაც სუყოველი მომდევნო დასკვნა გამომდინარეობს წინა დასკვნიდან. თუკი ამის შემდგომ სუყოველ შუა რგოლს გამოვაცლით და მსმენელს მხოლოდ პირველსა და ბოლო რგოლს შევატყობინებთ, ორივე რგოლი განსაცვიფრებელ, თუმცა ცრუ შთაბეჭდილებას მოახდენს.

* * *

მეცნიერების საოცრებანი ყოველგვარ ჯადოსნობაზე უსაკვირველესია.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №95, 97-100

* * *

არცროდის საერთო შთაბეჭდილებას არ ენდოთ, ჩემო მეგობარო, მთელი ყურადღება წვრილმანებს მიაპყარით.

* * *

აი, რატომ არის წარმოსახვა ფასეული: წარმოვიდგინეთ, რაც უნდა მომხდარიყო და მართალნი გამოვდექით!

* * *

საკმაო ინფორმაციის უქონლად ტვინის მორგება იგივეა, რომ რბოლა ორთქლმავლით მოვაწყოთ... ხომ წარმოგიდგენიათ, რა დღეში ჩავარდება ორთქლმავალი, ალბათ, სულ ნაწილ-ნაწილ დაიშლება.

* * *

ფაქტების გვერდის ავლით მსჯელობაში ჩაღრმავება დიდი შეცდომაა.

* * *

სუყოველი ამოცანა ძალიან იოლი გეჩვენება, თუკი აგიხსნეს, როგორ უნდა გადაწყვიტო.

* * *

არცრა ყრია იმ სიბრძნეში, თუ ბრძენისთვის უპირატესობა არ მოაქვს.

* * *

თქვენი ტანსაცმელი მევრად მეტს ამბობს, ვიდრე გგონიათ.

* * *

მე ჩემი არაერთი ხერხი მაქვს და ზუსტად იმდენს ვლაპარაკობ, რამდენიც საჭიროდ მიმაჩნია და ეს არის ჩემი ოფიციალური მდგომარეობის უპირატესობა.

* * *

ლოგიკურად მოაზროვნე ადამიანს შეუძლია წყლის ერთი წვეთის მიხედვით დასკვნის გამოტანა ატლანტიკის ოკეანის ანდა ნიაგარას ჩანჩქერის არსებობის თაობაზე, თუნდაც არცროდის არც ერთი არ ენახოს და არც ერთსა და არც მეორეზე რაიმე არ სმენოდეს. სუყოველი ცხოვრება მიზეზთა და შედეგთა უშველებელი ჯაჭვია, რისი ბუნების გაგებაც თითო-თითო რგოლის მიხედვით შეგვიძლია.

* * *

რაც დაუეჭვებლად ვიცოდი, ყველაფერი გიამბე, დანარჩენი მხოლოდ ვარაუდი და განზრახვაა. თუმცა, რაც გიამბე, იმისთვის მყარი საფუძველია.

* * *

უბვეულო რამ ჩვენს საქმეში უფრო შეწევნაა, ვიდრე დაბრკოლება. მსგავს ამოცანათა გადაწყვეტისას დიდად მნიშვნელოვანია, თუ რეტროსპექტულად მსჯელობ, ეს დიდად ფასეული უნარია, რისი განვითარებაც ძნელი არ არის, მაგრამ ახლა რატომღაც ცოტა ვინმეს თუ აგულისყურებს. ყოველდღიურ ცხოვრებაში გაცილებით სასარგებლოა წინასწარ ფიქრი, ამიტომ უკუმსჯელობას ამჟამად არა სწყალობენ. ორმოცდაათი კაციდან მხოლოდ ერთს შეუძლია ანალიტიკური მსჯელობა.

* * *

რაპი არ იცოდით, თუ რისთვის მიგექციათ ყურადღება, ამიტომაც გაუშვით ხელიდან ყოველივე არსებითი რამ.

* * *

ამ ამბავში გამორიცხვის მეთოდმა დამარწმუნა, რომ ჩემთვის ცნობილი ფაქტებიდან არც ერთი არავითარ სხვა ჰიპოთეზაში არ ჯდებოდა.

* * *

მე იმასვე ვხედავდი, რასაც თქვენც ხედავთ, მაგრამ სხვა დასკვნები გამოვიტანე.

* * *

თუ ხელთ თიხა (ფაქტები) არა გაქვს, რისგან მოვჭრათ აგური?

* * *

ჩემი წესია, რომ არცრა აკვიატებული მოსაზრება არა მქონდეს და მორჩილად მივყვე ფაქტებს.

* * *

მგონი, წლებს არ მოუკლავთ ჩემი გამომგონებლობა, ჩვეულებას კი არ გაუხმია.

* * *

აქ ვარაუდების წრეში შევდივართ, ამ წრეში კი მარტო ლოგიკა ცოტაა. თუ ფაქტები ხელთა აქვთ, ამ ფაქტების საფუძველზე ყველას შეუძლია თავისი საკუთარი ჰიპოთეზის შექმნა და თქვენსას სისწორის იმდენივე შანსი აქვს, რამდენიც ჩემსას.

* * *

ჩემი მსჯელობის თითოეული რგოლი გამოვჭედე და შევამოწმე, ამიტომაც დარწმუნებული ვარ, რომ ეს ჩემი ჯაჭვი წუნდაუდებელია.

* * *

თუ ადამიანმა ჩემეულ უნართა მსგავსი ზოგიერთი უნარი განავითარა და სიღრმისეულად იყო დაკავებული დედუქციის მეცნიერებით, ის მიდრეკილია რთულ ახსნა-განმარტებათა იქ საძებნელად, სადაც ბევრად უფრო მარტივი ახსნა-განმარტებანი იკმარებდა.

* * *

ტვინისთვის სამუშაოს დაძალება, როცა ამ სამუშაოსთვის საკმარისი მასალა არ არის, – იგივეა გინდ ძრავა გადახურებულა, გადახურებული ძრავა კი სულ ნაწილ-ნაწილ დაიშლება, საჭიროა თუნდაც იმის მყარად ათვისება, რაც ჩვენთვის ცნობილია. ეს კი იმისთვის გვჭირდება, რათა თავისი ადგილი მივუჩინოთ სუყოველ ახალ ფაქტს, რაჟამს ისინი გაჩნდებიან.

* * *

შიმშილი ამწვავებს ყოველგვარ გონებრივ უნარს. ჩემო ძვირფასო ვატსონ, როგორც ექიმი, უნდა დამეთანხმოთ, რომ საჭმლის მონელების დროს ტვინი ზუსტად იმდენ სისხლს კარგავს, რამდენიც კუჭის მუშაობას ეჭირვება. ამჟამად მე ერთი მთლიანი ტვინი ვარ. სხვა ყოველივე არცრაა, თუ არა დანამატი. ამიტომ უწინარესად ტვინს უნდა გავუწიო ანგარიში.

* * *

ეს პრობლემა დედუქციის მეთოდით გადავწყვიტე. როცა დედუქციის საწყისი შედეგები მუხლობრივად დადასტურდა ერთმანეთს დაუკავშირებელი ფაქტების მთელი წყებით, მაშინ სუბიექტური შეგრძნება ობიექტურ ჭეშმარიტებად იქცა. ახლა კი გულდაჯერებულად შეიძლება იმის განცხადება, რომ მიზანი მიღწეულია. მართალი რომ გითხრა, ამოცანა ჯერ კიდევ მანამდე გადავწყვიტე, როგორც კი ბეიკერ-სტრიტი უკან მოვიტოვეთ, აქ, ამ ადგილას, ისღა დაგვრჩენოდა, მხოლოდ გვეთვალთვალა და რასაც ველოდით, ის დადასტურებულიყო.

* * *

დედუქციის უნარი გადამდები რამ არის.

* * *

მე თანამედროვე მეცნიერული ცოდნის დიდ მარაგს ვფლობ, შეძენილს სრულიად უსისტემოდ და ამასთანავე ჩემს დიდ შემწეს მუშაობაში.

* * *

რახან თქვენი თვალსაზრისი შეცვალეთ, მაშინ, რაც უტყუარ სამხილად გეჩვენებოდათ, ახლა ამოცნობის გასაღები ხდება.

* * *

–ყველაფერს ხედავთ?

– თქვენზე მეტს არაფერს, ოღონდ ჩემი თავი ყველაფრის გაანალიზებას მივაჩვიე, რასაც ვხედავ.

* * *

არ შეიძლება უცნაურისა და იდუმალის ერთმანეთში არევა.

* * *

ძვირფასო ვატსონ! ღმერთმანი, სრულყოფილად შეიცანით ჩემი დედუქციური მეთოდი. მაგრამ ვაი, რომ... თქვენი დასკვნების უმრავლესობა მცდარია.

* * *

დაკვირვებულობა ჩემი მეორე ბუნებაა.

* * *

სწორედ ასეთი წვრილმანების ცოდნა განასხვავებს გაწაფულ მაძებარს გრეგსონთაგან და ლესტრეიდთაგან.

(გაგრძელება იძნება)



„ყველაზე ძლიერი გონებაც კი შეიძლება რომ ერთხელ შეცდეს“

ასე ამბობდა შერლოკ ჰოლმსი

ქართულად გადმოაქცია გურამ გოგიაშვილმა

◎ დედამიწა

რა იქნა მწერები?

ჩინელმა და ავსტრალიელმა მეცნიერებმა, სხვა ქვეყნის კოლეგებთან ერთად ჩატარებულირამდენიმე ათეული სამეცნიერო გამოკვლევის შედეგად, რომელიც დედამიწაზე მწერთა არსებობის პირობებს ასახავს, განგაში ატეხეს. აღმოჩნდა, რომ ყოველწლიურად მათი მასა ორნახევარი პროცენტით მცირდება.

ამასთან დაკავშირებით ავტორიტეტული ჟურნალი „ბიოლოჯიკალ კონვერსეიშნი“ წერს: „დანაკარგების ოდენობა შოკის მომგვრელია! 10 წლის შემდეგ მწერთა მთლიანი ოდენობა 25 პროცენტით შემცირდება, 50 წლის მერე მათგან ნახევარი დარჩება, 100 წლის შემდეგ კი ისინი საერთოდ გაქრებიან, შედეგი კატასტროფული იქნება, ვინაიდან ისინი დედამიწაზე ეკოსისტემის საფუძველს წარმოადგენენ!“

ყველაფერი ჯაჭვური რეაქციის პრინციპით მოხდება: გაქრებიან მწერები — შიმშილით დაიხოცებიან ის ცხოველები და ფრინველები, რომლებიც მწერებით იკვებებიან, მათ მიჰყვებიან მცენარეები, რადგან დამტვერიანება აღარ მოხდება. მცენარეებს ბალახისმჭამელი ცხოველები მიჰყვებიან, რასაც მტაცებელთა მასობრივი გადაშენების პროცესი გააგრძელებს, მერე კი უსაკვებოდ დარჩენილი კაცობრიობის ჯერიც დადგება...

ამჟამად მცირდება ყველა მწერის ოდენობა, მაგრამ **ყველაზე სწრაფად პეპლები და ხოჭოები ქრებიან. ასევე მცირდება ფუტკრების, ბზიკების, ჭიანჭველების პოპულაციები.**

მეცნიერები აცხადებენ, რომ მწერების მთავარი მტერი ადამიანია, რომლის სამეურნეო მოღვაწეობა — **ურბანული და საგზაო მშენებლობა, ქიმიკატების მოხმარება და სხვ. მწერებს ანადგურებს**: მკვლევარები პანაცეას ვერ გვთავაზობენ — მათი აზრით, გამოსავალი მხოლოდ ბუნებაზე ურბანული შეტევის შენელება და სოფლის მეურნეობის წარმოებისადმი მიდგომის ძირეული შეცვლაშია.

თუმცა, არ არის გამორიცხული, რომ საქმე გაცილებით ცუდადაა და მწერთა ოდენობის მასობრივი შემცირება შესაძლოა გაცილებით მასშტაბური პროცესის — ერთიანად ყველა ცოცხალი არსების ამოწყვეტის საწყისი ეტაპი იყოს. დედამიწის გეოლოგიურ ისტორიას თუ გადავხედავთ, პლანეტარული მასშტაბის მსგავსი კატასტროფა ამ ჯერზე რიგით მეექვსე იქნება. **პირველი** — ორდოვიკ-სილურული, 450 მილიონი წლის წინათ მოხდა, რისი მიზეზიც, სავარაუდოდ, გონდვანას უძველესი სუპერკონტინენტის მოძრაობა იყო, რასაც მსოფლიო ოკეანის დონის დაწევა და კლიმატის აცივება მოჰყვა; მეორე იყო **დევონური** — 370 მილიონი წლის წინათ, რის გამომწვევი მიზეზი, როგორც ჩანს, მსოფლიო ოკეანის ვულკანების მიერ ამოფრქვეული ნივთიერებებით მოწამლვა იყო; მესამეა **პერმული** (ანუ დიდი) გადაშენება, 250 მილიონი წლის წინათ, რა დროსაც დაიღუპა ცოცხალი ორგანიზმების 96 პროცენტი. სავარაუდო მიზეზია დედამიწაზე ვულკანების მასობრივი ამოფრქვევა; მეოთხეა **ტრიასული** — 200 მილიონი წლის წინათ, რაც გაურკვეველი ბუნების კლიმატური ცვლილების შედეგი უნდა ყოფილიყო; დაბოლოს ცარცულ-პალეოგენური — 66 მილიონი წლის წინათ, როცა გადაშენდნენ დინოზავრები, რომელთა დაღუპვის მიზეზი ასევე უცნობია.

ამდენად, როგორც ვხედავთ, ხუთივე „მთავარი ამოხოცვა“ ბუნებრივი მიზეზით მოხდა და მხოლოდ **მეექვსის მიზეზი ხდება ადამიანი.** ამერიკელ და მექსიკელ მკვლევართა განცხადებით, ეს პროცესი უკვე დაწყებულია, რის თაობაზე მათ ჟურნალ Science Advances-ში შესაბამისი მოხსენება გამოაქვეყნეს. ამ უაღრესად საგანგაშო დოკუმენტით თუ ვიმსჯელებთ, **1500 წლიდან მოყოლებული, ბუნებიდან ხერხემლიანთა 320 სახეობა გაქრა. თუ უწინ ძუძუმწოვართა სახეობებიდან 100 წელიწადში ორი სახეობა გადაშენდებოდა, ამჟამად ამ პროცესის სიჩქარე ასჯერ გაიზარდა(!)**

როგორი იქნება რიგით მეექვსე გადაშენების შედეგები? თუკი ყველაფერი ძველებურად გაგრძელდება, ჩვენ ეს შესაძლოა, ვერც კი გავიგოთ...

ჯერ საქმე...

თელ-ავიველმა მეცნიერებმა **დაადგინეს, რომ გადაუდებელი საქმეები უძილობის მიზეზია.**

მკვლევართა განცხადებით, სწრაფად დაძინებას ხელს უშლის განგაშის მდგომარეობა, რომლის დონეს ამაღლებს გადაუდებელ და დაუსრულებელ საქმეებზე ფიქრი.

ქრონიკულ უძილობას კი დაღლილობა, გონებაგაფანტულობა და შრომისუნარიანობის დაქვეითება მოჰყვება.

...და არავითარი დიეტა!

25 წლამდე ასაკის მანდილოსნებისთვის **დიეტის დაცვა უკუჩვენებითია.** ამ ასაკში მათ კვებაში ნებისმიერი შეზღუდვები ორგანიზმისთვის საჭირო სასარგებლო ნივთიერებათა დეფიციტს იწვევს. ცხიმები საჭიროა ჰორმონალური სისტემის ფუნქციონირებისთვის, ცხოველური ცილები კი, რომელთა მოხმარების შეზღუდვა უკვე მოწიფულ ასაკშია რეკომენდებული, სიმაღლეში ზრდისთვისაა საჭირო.

ორთავიანი და ორგულიანი

პირველად მსოფლიოში მეცნიერებმა **გენური ინჟინერიის გამოყენებით შეძლეს „ზოლიანი დანიოს“ ჯიშის ორთავიანი თევზის გამოყვანა.**



ორთავიანი და ორგულიანი ურჩხული შემთხვევით გაჩნდა. ტაიბეის ბიოლოგიური ქიმიის ინსტიტუტის თანამშრომელი იუან ჩან-ძენი ადამიანებში კუნთოვანი დისტროფიის გამომწვევ გენზე ექსპერიმენტს ატარებდა. აღნიშნული გენი მკვლევარმა 200 საცდელ თევზ დანიოში მოათავსა. ერთი დღე-ღამის შემდეგ მეცნიერმა აღმოაჩინა, რომ ერთ-ერთი ემბრიონი 2 მილიმეტრის სიგრძის უცნაური თევზის ჩანასახად გადაიქცა.

თევზმა კვირაზე მეტი იცოცხლა და ერთი მილიმეტრით გაიზარდა.

ტვინის შერყევა და... გონებასისუსტე

ბოსტონის **უნივერსიტეტის მეცნიერები აცხადებენ, რომ თავის ტვინის მსუბუქ შერყევასაც შეუძლია გამოიწვიოს ალცჰაიმერის დაავადების განვითარება.**

გამოკვლევა ავღანეთსა და ერაყში საბრძოლო მოქმედებათა 150 მონაწილეს ჩაუტარდა, რომელთა საშუალო ასაკი 32 წელი იყო. ერთი ჯგუფის წევრებს თავის ტვინის შერყევა ერთხელ და მეტად ჰქონდათ მიღებული, მეორე ჯგუფის წევრებს ასეთი ტრავმა არ ჰქონიათ. თითოეულ მათგანს მაგნიტო-რეზონანსული ტომოგრაფია ჩაუტარდა, რა დროსაც ქალა-ტვინის შვიდ უბანში თავის ტვინის ქერქის სისქე შეამოწმეს, რომლებიც ალცჰაიმერის დაავადების განვითარების დროს



წყვეტენ ნორმალურ ფუნქციონირებას. აღმოჩნდა, რომ თავის ტვინის სუსტი შერყევაც კი ტვინის ქერქის დისტროფიას უკავშირდება, თანაც ეს იმ ზონებში ხდება, რომლებიც დემენციის დროს პირველი ზიანდება. ამ უბნებში ქერქის სისქე გაცილებით ნაკლები იყო.

საბედისწერო ნათესაობა

ცოტა ხნის წინათ ამერიკის შეერთებულ შტატებში უნიკალური შემთხვევა მოხდა: ბავშვის ჩასახვასთან დაკავშირებით ცოლ-ქმარმა გენეტიკოსებს მიმართა და ანალიზების ჩატარების შემდეგ აღმოჩნდა, რომ ისინი მშობლების დაღუპვის შემდეგ სხვადასხვა ოჯახებში გაშვილებული ტყუპი და-ძმა ყოფილან!

ამ ექსტრაორდინარული შემთხვევის სხვა დეტალები გასაგები მიზეზების გამო არ ხმაურდება. გენეტიკური ექსპერტიზის დროს მემკვიდრეობით დაავადებებთან დაკავშირებით საგანგებო ანალიზები ტარდება. როგორც ჩანს, ცოლ-ქმრის ანალიზები მრავალი მუტაციით დაემთხვა, რამაც ექიმები აიძულა, მათ ნათესაურ კავშირზე ტესტი ჩაეტარებინათ.

ამ გამოკვლევის შედეგები სავსებით სარწმუნოა, ამიტომაც მათ იურიდიული ძალა აქვთ და მათი გამოყენება სასამართლოში შეიძლება.

გვერდი მოამზადა
ოთარ ტურაბელიძემ

◎ კრიმინალი

ბურთიც, ბორკილებიც

„სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, სპორტული შეჯიბრების მონაწილეთა მოსყიდვისა და მეორე და უმაღლეს ლიგაში მოასპარეზე ფეხბურთელების მიერ მატჩების ჩაწყობის ფაქტზე 8 მოქმედი და 3 ყოფილი ფეხბურთელი ბრალდებულის სახით დააკავეს.

დაკავებულები არიან ორგანიზატორები – ყოფილი ფეხბურთელები: ვახტანგ ჯ., ლაშა ჩ. და ნიკა დ., საფეხბურთო კლუბ „ჭიათურას“ ფეხბურთელი ირაკლი ხ, ასევე, საფეხბურთო კლუბ „ლანჩხუთის გურიას“ ფეხბურთელები რობერტ ი. და ირაკლი ბ., საფეხბურთო კლუბ „ვიტ ჯორჯიას“ ფეხბურთელები ჯონი შ., გიორგი გ., ნიკოლოზ მ., პაატა ღ. და ნოდარ კ.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ორგანიზებული ჯგუფის წევრები დანაშაულებრივად უკავშირდებოდნენ საფეხბურთო კლუბების ფეხბურთელებს და გარკვეული თანხის სანაცვლოდ ურიგდებოდნენ მოწინააღმდეგე გუნდთან წინასწარ შეთანხმებული ანგარიშით, ე.წ. „ჰანდიკაპით“ – ორი ან მეტი ბურთით წაგებაზე.

2019 წლის 3 აპრილს ორგანიზებული ჯგუფის წევრების მიერ საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატის მე-2 ლიგაში მოასპარეზე საფეხბურთო კლუბ „ლანჩხუთის გურიას“ მოსყიდულმა ფეხბურთელებმა წინასწარი შეთანხმების საფუძველზე საფეხბურთო კლუბ „თბილისის მერანსა“ და საფეხბურთო კლუბ „ლანჩხუთის გურიას“ შორის გამართული შეხვედრის მეორე ტაიმი ორბურთიანი სხვაობით დათმეს.

ანალოგიურად, 2019 წლის 19 მაისს ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის წევრების მიერ საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში მოასპარეზე საფეხბურთო კლუბ „ვიტ ჯორჯიას“ მოსყიდულმა ფეხბურთელებმა წინასწარი შეთანხმების საფუძველზე საფეხბურთო კლუბ „ბათუმის დინამოსთან“ შეხვედრა ორბურთიანი სხვაობით წააგეს.

ხსენებული მატჩების წინასწარ შეთანხმებული ანგარიშით დასრულებისათვის ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებმა და ფეხბურთელებმა ჯამში მიიღეს განსაკუთრებით დიდი ოდენობით თანხა – 93 500 ლარი.

გამოძიება პროფესიული სპორტული შეჯიბრების მოსყიდვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 203-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით, რაც სასჯელის სახით 4-დან 6 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს).

მანუჩარ გიორგაძე

◎ ჩოგბურთი

ზედიზედ მეორედ

პორტუგალიურ ობიდოში დამთავრდა ჩოგბურთელ ქალთა 25.000-იანი საერთაშორისო ტურნირი. ერთი კვირის წინათ ამავე კორტებზე მსგავსი შეჯიბრების წყვილთა პაექრობა თბილისელმა სოფიო შაფათავამ მოიგო ბრიტანელ ემილი ვებლი-სმითთან ერთად. ქართველმა ჩოგბურთელმა ამჯერადაც წარმატებით იასპარეზა, თანაც ისევ ვებლი-სმითთან შეამხანაგებულმა. ისინი მესამე ნომრად იყვნენ განთესილი. პირველ წრეში ეკატერინა შალიმოვა (რუსეთი) და შალიმარ ტაბლი (ბელარუსი) დაამარცხეს – 6:3, 7:5, შემდეგ მასპინძლები – მარია ინეს ფონტე და ფრანცისკა ხორხე ჩამოიშორეს გზიდან – 6:2, 6:4. ნახევარფინალში ასპარეზობის ბრიტანელი რეიტინგ-ფავორიტები – სარა ბეთგრეი და ოლივია ნიკოლსი არ გამოუცხადდნენ. გადამწყვეტ ორთაბრძოლაში სოფიომ და ემილიმ მეოთხე ნომრები – მარტინა კოლმენია (იტალია) და ნურია პარიზას დიასი (ესპანეთი) დაჯაბნეს – 6:4, 6:1 და პირველი ადგილი დაიკავეს.

გივი გაგუა

მეფე რომშიც მეფეა

რომის მასტერზი, უკვე მეცხრედ, რაფაელ ნადალმა მოიგო, თანაც, რომ იტყვიან, ცალი ხელით.

გრუნტის მეფის მორიგი ტრიუმფი, აბა, რა გასაკვირია, მაგრამ საყურადღებოა ის სტატისტიკა, რომლითაც ესპანელმა მიზანს ამჯერად მიაღწია – მთელი ტურნირის განმავლობაში მან ერთადერთი პარტია დათმო.

ეს მალიორკელის ყველაზე პრინციპულმა მეტოქემ ნოვაკ ჯოკოვიჩმა მოახერხა, თუმცა, თვით ფინალური მატჩის საერთო ანგარიშმა – 6:0, 4:6, 6:1 – ბევრ კითხვას გასცა პასუხი.

შეგვიძლია მსოფლიოს პირველი ჩოგანის ასეთი კრახი გარკვეულწილად არგენტინელ ხუან მარტინ დელ პოტროსთან გადატანილ უმძიმეს, გაჭიანურებულ ნახევარფინალურ ბრძოლას დავაბრალოთ – ეტყობა, ძალების სრულად აღდგენა ვერ მოასწრო, მაგრამ ამით საერთო სურათი არ იცვლება – პირენეელი თიხნარზე კვლავაც შეუდარებელია და დამდეგი როლან გაროსის უპირველეს ფავორიტად რჩება.

დავძენთ, რომ მარადიულ ქალაქში მოპოვებული წარმატებით იგი მასტერზების ნუსხაში დაწინაურდა – 34 (ჯოკოვიჩს 33 აქვს), თანაც სერბთან ურთიერთშეხვედრებში ჩამორჩენა შეამცირა – 26:28.

გიორგი ზოთაძე

ტაბლო

ძიუდო. მალაგა. ევროპის თასის გათამაშება ახალგაზრდებს შორის. 70 კგ. მარიამ ჭანტურია – „ოქრო“. 57 კგ. ეთერ ლიპარტელიანი – „ბრინჯაო“.

სუმო. ტოკიო. ნაცუ ბაშო. VII დღე. ტოჩინოშინი – კოტოშოგიკუ 1:0. VIII დღე. ტოჩინოშინი – ენდო 0:1. IX დღე. ტოჩინოშინი – ტაკაკეიშო 1:0 (მეტოქე ტრავმის გამო დოჰიოზე ვერ გავიდა).

ამგვარად, ლევან გორგაძეს შესანიშნავი ბალანსი აქვს – 8:1. მან დადებითი მონაგარი გაინაღდა და ორი მოგება აშორებს ოძეკის ტიტულის დაბრუნებამდე, თანაც იმპერატორის თასის მეორედ დაუფლების შანსს ინარჩუნებს.

კოგა კოგანეიძე

◎ კალათბურთი

რუსულმა არმიამ ბასკეთშიც გაისროლა

ევროლიგას ცსკა-ს სახით ღირსეული ტრიუმფატორი ჰყავს – დიმიტრის იტუდისის გაწვრთნილმა არმიელებმა მერვედ მოიგეს კონტინენტის ყველაზე პრესტიჟული საკლუბო ტურნირი და ამ მხრივ მხოლოდ მადრიდის „რეალს“ ჩამორჩებიან, რომელსაც, სხვათა შორის, ბასკურ ვიტორიაში გამართული ოთხთა ფინალის სასტარტო ბრძოლა 95:90 მოუგეს.

მართალია, მესამე პერიოდის ერთ-ერთ ეპიზოდში ესპანელები სოლიდური – 14-ქულიანი უპირატესობით დაწინაურდნენ, მაგრამ სწორედ ამ დროს აიწყვიტა რუსული გრანდის ფრანგმა ლიდერმა ნანდო დე კოლომ და პარტნიორებს ზღაპრული გამარჯვებისკენ გაუძღვა.

რაც შეეხება სტამბოლურ დერბის, მისი ბედი თამაშამდე გადაწყდა, რადგან სარბიელზე გასვლა „ფენერბახჩეს“ ერთბაშად ოთხმა(!) ტრავმირებულმა ვარსკვლავმა ვერ მოახერხა, „ეფესის“ სნაიპერ შეინ ლარკინის შემჩერებელი კი არავინ აღმოჩნდა – 92:73.

ეს უკანასკნელი სატიტულო დუელშიც ყველაზე შედეგიანად გაისარჯა – 29 ქულა, მაგრამ ერთმა მერცხალმა გაზაფხული ვეღარ მოიყვანა – 83:91. აღსანიშნავია, რომ მოსკოველებმა სამქულიანებით დაბომბეს მეტოქის კალათი, საუკეთესო სტატისტიკით კი შეხვედრის MVP კორი ჰიგინსი და მინი-ტურნირის MVP ვილ კლაიბურნი გამოირჩნენ – 20-20 და 4-4 სამქულიანი.

მატჩი III ადგილისთვის:

„რეალი“ – „ფენერბახჩე“ 94:75.

დაბოლოს: ჩვენთვის ყველაზე სასიამოვნო ფაქტი ფინალამდე ერთი დღით ადრე გამართულ ევროლიგის გალა-დაჯილდოებაზე მოხდა, სადაც სეზონის ამომავალი ვარსკვლავის პრიზი გოგა ბითაძეს გადაეცა.

ვიტალი ჯაფარიძე

არდავიწყება

ამირან სხიერელი – ჩემპიონი სარბიელზეც, კაცობაშიც...

ამირან სხიერელი ქართული კალათბურთის იმ სახელოვანი თაობის წარმომადგენელი გახლდათ, რომლის წარმატებებიც ოქროს ასოებით ჩაიწერა სამამულო სპორტის მატიანეში. 1941 წლის 21 იანვარს ონში დაბადებულმა და ობლობაში გაზრდილმა (მამა მეორე მსოფლიო ომში დაეღუპა) ქართველმა ვაჟკაცმა მუხლჩაუხრელი გარჯით უმაღლეს მწვერვალებს მიაღწია: თბილისის „დინამოსა“ და საბჭოთა ნაკრების ორმეტრიანმა ცენტრმა საქართველოს უპირველეს გუნდთან ერთად 1962 წელს ევროპის ჩემპიონთა თასი მოიპოვა, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატების ოქროს (1968), ვერცხლისა (1969) და ბრინჯაოს (1965) მედლების მფლობელმა 1969 წელს საკავშირო თასი დაისაკუთრა და თასების თასის ფინალისტი გახდა, საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში კი ევროპის ჩემპიონობა ერგო...

აღსანიშნავია, რომ 1947 წელს საბჭოთა კალათბურთელებმა პირველად ითამაშეს ევროპის ჩემპიონატზე პრაღაში და ჩემპიონობა მოიპოვეს. ოქროსმედალოსანთა შორის იყვნენ ქართული კალათბურთის ლეგენდები — ოთარ ქორქია და ნოდარ ჯორჯიკია. ერთბაშად ორი ქართველი ისევ კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე 18 წლის შემდეგ ავიდა — 1965 წელს. მაშინ საბჭოთა კავშირის ნაკრებში თბილისის „დინამოდან“ ზურაბ საკანდელიძე და ამირან სხიერელი თამაშობდნენ. ევროპის ჩემპიონატს მოსკოვმა და თბილისმა უმასპინძლეს. საბჭოთა კალათბურთელებმა უპრობლემოდ გადალახეს ყველა ბარიერი —გადამწყვეტ მატჩში იუგოსლავიას აჯობეს - 58:49.



ამირან სხიერელის სასპორტო კარიერა, თანატოლთა მსგავსად, ფეხბურთითა და ჭიდაობით დაიწყო. მე-7 კლასში ერთბაშად აიყარა ტანი და ფიზკულტურის მასწავლებელმა ტიტე ბერიშვილმა კალათბურთის სექციაში ჩაწერა — ჭიდაობას თავი დაანებეო, უთხრა. რამდენიმე თანაკლასელთან ერთად ვარჯიშობდა სკოლის პატარა დარბაზში. 1957 წელს სოხუმში მოსწავლეთა საქართველოს პირველობაზე ითამაშეს და მას შემდეგ შეუყვარდა კალათბურთი.

ცნობილმა ფალავანმა შურა მაისურაძემ, რომელიც მაშინ ონში სპორტკომიტეტის თავმჯდომარედ მუშაობდა, ამირან სხიერელი 1959 წელს მოჭიდავეთა ნაკრებთან ერთად კასპში წამოიყვანა საქართველოს პირველობაზე. არადა, გუნდში არ იყო. არც უჭიდავია. შეჯიბრება რომ დამთავრდა, ბიჭები რაჭაში დაბრუნდნენ, ხოლო სხიერელი და მაისურაძე თბილისში ჩამოვიდნენ.

— „დინამოს“ მთავარ მწვრთნელ გიორგი ავალიშვილს ჩააბარა ჩემი თავი. — მიამბო ერთხელ ბატონმა ამირანმა. — გიორგი ივანიჩმა ხუმრობით უსაყვედურა, ორმეტრიანი ბიჭი თუ გყავდათ, აქამდე სად იყავითო. მეორე დილით რვა საათზე დამიბარა მაშინდელ ლენინის დარბაზში. „თუ დამიჯერებ, დიდ კალათბურთს ითამაშებ, ოღონდ მე და შენ ბევრი შრომა დაგვჭირდებაო“, მითხრა.

მართლაც, თავი არ დაუზოგავს ამირან სხიერელს, რომ „დინამოს“ ვარსკვლავთა შორის თავი გამოეჩინა. ავალიშვილი ყოველ დილით რვიდან ათ საათამდე პერსონალურად ავარჯიშებდა, მერე ძირითად შემადგენლობასთან ერთად იმაღლებდა ოსტატობას. 1961 წლიდან სანუკვარ გუნდში საიმედოდ დაიმკვიდრა ადგილი.

— 1962 წელს ევროპის ჩემპიონთა თასზე ჯერ რუმინეთის გუნდს ვძლიეთ, შემდეგ თურქეთის „დარუშაფაკი“ ჩამოვიშორეთ გზიდან და ნახევარფინალში ცსკა დავჯაბნეთ ორჯერ. მადრიდელებს ჩვენი ფინალისტობა რომ შეუტყვიათ, თურმე წინასწარ ზეიმობდნენ გამარჯვებას. ჟენევაში, სამწუხაროდ, ტრავმის გამო „რეალთან“ არ მითამაშია, ამიტომ მეტი საშუალება მქონდა, თვალყური მედევნებინა ორთაბრძოლისთვის. ჩვენმა ბიჭებმა ლამაზი თამაშით მოხიბლეს მაყურებელი, აშკარად დაჯაბნეს პირენეელები — 90:83 მოუგეს და ევროპის ჩემპიონთა თასი თბილისში ჩამოვიტანეთ.

ევროპისა და საბჭოთა კავშირის ჩემპიონმა, ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელმა ერთხელ ჩემთან საუბრისას ასეთი საინტერესო ეპიზოდიც გაიხსენა:

— 1965 წელს ამხანაგური მატჩების გასამართავად ამერიკაში გავემგზავრეთ. ინდიანაპოლისში ერთ-ერთი პაექრობის არბიტრად უნგრელი კაშაი დანიშნეს, რომელმაც ევროპის ჩემპიონატზე გაგვიშრო სისხლი. ეტყობა, 1956 წლის ამბები ჰქონდა გულში ჩახვეული. რატომღაც ამითვალწუნა — გასაქანი არ მომცა. საფინალო სირენამდე წამები რჩებოდა. ერთი ქულით წინ ვიყავით. ამერიკელთა საპასუხო შეტევისას ბურთი ჩავჭერი, მთელი სისწრაფით გავექანე მეტოქის ფარისკენ და ბურთის კალათში ჩასატენავად ჰაერში აღვიმართე თუ არა, ზურგიდან მეტოქე დამეჯახა. ამ დროს კაშაიმ ჩასტვინა. ვხედავ, მე მაჯარიმებს. წარმოიდგინეთ, რაჭველი კაცი წონასწორობას რომ დაკარგავს. მივვარდი კაშაის — ამიხსენი, რატომ მაჯარიმებ-მეთქი, ვუყვირე. მან ხელით ისეთი ჟესტი მაჩვენა, რომ ვერ მოვითმინე, სასტვენი ჩამოვგლიჯე და ტრიბუნისკენ მოვისროლე. უნგრელის რეაქციამაც არ დააყოვნა — ტექნიკური ჯარიმაც მომცა. ის მატჩი ქულით წავაგეთ. „ეს რა ვქენი, ხულიგნობისთვის ნაკრებიდან დამითხოვენ-მეთქი“, — გამიელვა თავში. გასახდელში თვალს ვერ ვუსწორებდი ბიჭებს. ჩვენი დელეგაციის ხელმძღვანელი რომ შემოვიდა, ფეხზე წამოვდექი და თავჩაქინდრულმა პატიება ვთხოვე. „ამხანაგო სხიერელო, თქვენ არასპორტული საქციელისთვის კი არა, იმისთვის უნდა დაისაჯოთ, ის კაშაი ლურსმანივით რომ არ დააჭედეთ იატაკზე“, — მითხრა ღიმილით და მხარზე ხელი მომითათუნა. ალბათ, საბჭოთა სპორტის ისტორიაში ეს იყო ერთ-ერთი იშვიათი შემთხვევა, როცა ათლეტი არასპორტული საქციელისთვის წაახალისეს...

არადა, ამირან სხიერელისთვის უხეში თამაში უცხო იყო. კალათბურთის ცნობილი სპეციალისტის, ყოფილი საბჭოთა კავშირის ნაკრების მთავარ მწვრთნელ ალექსანდრ გომელსკის თქმით, სხიერელი „დაცვაში მჭიდროდ და წმინდად თამაშობდა, საიმედოდ მეურვეობდა არა მარტო ცენტრებს, არამედ მოედნის კალათბურთელებსაც. მისი შესაშური ენთუზიაზმი სხვა ბიჭებისთვის არაერთხელ მომიყვანია მაგალითად“...

ამირან სხიერელი აქტიურ სპორტს 1973 წელს დაემშვიდობა. მერე თითქმის ათი წელიწადი ლევან მოსეშვილთან ერთად მშობლიური „დინამოს“ კალათბურთელებს ავარჯიშებდა. 1977 წელს საბჭოთა კავშირის მე-2 ახალგაზრდულ თამაშებზე ხელმძღვანელობდა საქართველოს ნაკრებს, რომლის ღირსებასაც იცავდნენ ნიკოლოზ დერიუგინი, როლანდ გარუჩავა, ვლადიმერ ძიძიგური, კოკა ჯორჯიკია, გოჩა ბაბუნაშვილი, კახა ლომიძე... მაშინ ჩვენმა ბიჭებმა ფინალში ტურნირის ფავორიტ უკრაინის ნაკრებს სძლიეს და ჩემპიონობა მოიპოვეს.

1982 წლიდან ბატონმა ამირანმა შინაგან საქმეთა ორგანოებში პროფესიით სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობაზე იმუშავა, თუმცა, კალათბურთისთვის ზურგი არასდროს შეუქცევია. მეტიც, მას შემდეგ უფრო მიეძალა დარბაზს, რაც მისმა ვაჟმა — ბაჩომ დაიწყო კალათბურთის თამაში: ბავშვობისას — „მართვეში“, რომელსაც თამაზ ოქრუაშვილი და გია მიქაძე ხელმძღვანელობდნენ, შემდეგ — „დინამოში“. ვეტერანი კალათბურთელი ოჯახური ტრადიციის გამგრძელებელ შვილიშვილს - ირაკლისაც ქომაგობდა. იმედიანად იყო დიდი ოჯახის მამა და ბაბუა, მაგრამ...

საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, ღირსების ორდენოსანი ამაგდარი პიროვნება ამირან სხიერელი 18 მაისს გარდაიცვალა. მადლიერი შთამომავლობა სამშობლოს წინაშე ვალმოხდილ მამულიშვილს დღეს საუკუნო გზაზე ახალი ოლიმპიური სასახლიდან 14 საათზე გააცილებს...

ვაჟა დანელია

სანთელი

დამწუხრებულნი მოგაგებთ სიყვარულს...

გალაქტიონ ღლონტის ხსოვნა



ოთხი ძმის უმცროსი და — 85 წლის კლარა ღლონტი სამუდამოდ გეთხოვები 92 წლის ჩემს მეოთხე ძმას **გალაქტიონ ღლონტს**.

სიტყვებით შეუძლებელია უშენობით გამოწვეული გულის ტკივილის გამოხატვა...

ოჯახზე მზრუნველი, საქმიანი, წესრიგიანი პიროვნება ყველასადმი ყურადღებიანი და თანამდგომი იყავი. შენი ნაფერები, ერთადერთი ვაჟიშვილი მერაბი, რძალი დოდო, შვილიშვილები ანა და გვანცა დამწუხრებულნი მოგაგებენ სიყვარულსა და ხსოვნას...

საზოგადოებრივი საქმიანობით საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდება და ღირსების ორდენი დაიმსახურე, ხოლო პირადი ცხოვრებით — ერთსულოვანი დაფასება და სიყვარული.

მთელი შეგნებული ცხოვრება ქართულ მწერლობას მიუძღვენი, რაზეც შენი პოეტური კრებულები: „ბინდის ნათელი“ „სული ცისაკენ მიემართება“ და „ასი ლექსი“ მეტყველებენ, რომლებიც მკითხველის ყურადღებას იპყრობენ მაღალმხატვრულობით, პროფესიონალიზმით, სიწრფელით, სილაღითა და ბუნებრიობით.

მშვიდად განისვენე შენს ამაგდარ მშობლებთან, სამ ძმასთან, ძმის მეუღლეებთან, სიძესთან, ძმისშვილ თენგიზთან, მრავალ საყვარელ ადამიანთან და შენს ღირსეულ მეუღლე — თენგელა ლორთქიფანიძესთან ერთად.

განუშორებლად ჩვენთან ერთად იქნები სევდიანი ხსოვნით...

შენი და კლარა, დისშვილები
თინათინ და ზურაბ ჩხეიძეები ოჯახებით

ანზორ გერმანიშვილი



საქართველოს ენერგეტიკის ვეტერანთა კავშირი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი ენერგეტიკოსი **ანზორ გერმანიშვილი**.

ბატონი ანზორ გერმანიშვილი დაიბადა 1933წ. 15 მაისს ქ. გორში. 1956წ. დაამთავრა თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტი ინჟინერ-ელექტრომექანიკოსის კვალიფიკაციით. 1957წ. დაიწყო მუშაობა მრეწველობის საწარმოო პროცესების ავტომატიზაციის გორის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ინჟინრად, უფრ. ინჟინრად, ექსპერიმენტულ-გაწყობითი სამუშაოების განყოფილების უფროსად. 1971-1973წ.წ. ტრანსპორტის სამინისტროს გორის №2 სატვირთო ავტოსატრანსპორტო საწარმოს დირექტორია.

1977წ. გადაყვანილი იქნა „საქმთავარენერგოს ენერგოგასაღების“ გორის სარაიონთაშორისო განყოფილების უფროსად. 1980წ. მუშაობს „საქმთავარენერგოს“ გორის საქსელო საწარმოს დირექტორად, შიდა ქართლის საქსელო საწარმოს სადისპეტჩერო სამსახურის უფროსად. 1992წ. ინიშნება სსრკ ენერგეტიკის სამინისტროს ელსადგურებისა და ქსელების სახელმწიფო ინსპექციის კავკასიის ზონალური ორგანოს საქსელო საწარმოთა ჯგუფის მთავარ ინჟინერ-ინსპექტორად. 1998 წლიდან — პენსიაზე გასვლამდე (2007წ.) საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის ელექტროენერგეტიკის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტია.

აღსანიშნავია, რომ ბატონი ანზორი გამოირჩეოდა ნოვატორული მოღვაწეობით, ეს განსაკუთრებით გამოვლინდა გორის ელექტროქსელებში დირექტორად მუშაობისას, სადაც მრავალი რაციონალური წინადადება დანერგა.

მიღებული ჰქონდა მრავალი ჯილდო და მადლობა.

უფალმა ნათელში ამყოფოს ჩვენი სახელოვანი კოლეგის ნათელი სული!

საქართველოს ენერგეტიკის
ვეტერანთა კავშირი

„შუშანიკის წამება“ ნიდერლანდურად

ნიდერლანდებში საქართველოს საელჩოში იაკობ ცურტაველის ჰაგიოგრაფიული ნაწარმოების „შუშანიკის წამების“ ნიდერლანდური თარგმანის პრეზენტაცია გაიმართა. თარგმანი შესრულებულია ნიდერლანდების სამეფოში მცხოვრები ქართველი მთარგმნელის არჩილ ჯავახაძის მიერ.

ღონისძიების დასაწყისში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა გიორგი შარვაშიძემ დიდი მადლობა გადაუხადა არჩილ ჯავახაძეს ნაწარმოების თარგმნისათვის, რითაც ჰოლანდიელ მკითხველს საშუალება მიეცემა, გაეცნოს უძველეს ქართულ ნაწარმოებს „შუშანიკის წამებას“.

პრეზენტაციაზე არჩილ ჯავახაძემ ნაწარმოების თარგმნის პროცესზე, მის შინაარსსა და მნიშვნელობაზე ისაუბრა. ასევე არჩილ ჯავახაძემ დამსწრე საზოგადოებას მის მიერ ქართულ ენაზე დაწერილი წიგნი „ნიდერლანდების სამეფოს პრინცი ბერნარდი“ წარუდგინა.

ღონისძიებას ნიდერლანდების სამეფოში მოღვაწე სამეცნიერო და საგანმანათლებლო წრეების და ასევე დიასპორის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. ღონისძიების ფარგლებში ასევე წარმოდგენილი იქნა გამოფენა ქართული ანბანის სამი სახეობა -ასომთავრულად, ნუსხურად და მხედრულად შესრულებული ქართული დამწერლობის ნიმუშები.

მუსიკალური კონკურსი ისევ სკანდალშია

„ევროვიზიის“ 2019 წლის გამარჯვებული ჰოლანდიელი შემსრულებელი დუნკან ლოვრესი გახდა, მაგრამ...

როგორც ახლა, მისი გამარჯვების შემდეგ, მედიასაშუალებები წერენ, მან დაარღვია კონკურსის ერთ-ერთი წესი – შეასრულა სიმღერა, რომელიც უკვე იყო მის რეპერტუარში. „ევროვიზიის“ წესების მიხედვით კი, სიმღერა სპეციალურად კონკურსისთვის უნდა იყოს შექმნილი.

ინტერნეტში მომხმარებლებმა იპოვეს Youtube-ზე ატვირთული 2012 წლის ჩანაწერი, რომელშიც დუნკანი სწორედ იმ სიმღერას ასრულებს, რომელიც მან კონკურსზე შეასრულა.

ასი ათასი დოლარის ღირებულების ოქროს ზოდი

ავსტრალიელმა მამაკაცმა 100 000 დოლარის ღირებულების ოქროს ზოდი იპოვა. ამის შესახებ ინფორმაციას BBC ავრცელებს.

მამაკაცმა 1,4 კგ-ის გულის ფორმის ოქროს ზოდი, სამხრეთ ავსტრალიის ოქროს მდელოებზე სეირნობისას, მეტალის დეტექტორით აღმოაჩინა.



ოქროს ზოდი 100 000 ავსტრალიურ დოლარად ფასდება. როგორც პოლიციის წარმომადგენლებმა BBC-ის ჟურნალისტს განუცხადეს, ასეთი შემთხვევა კალგურლის რაიონში წელიწადში რამდენჯერმე ხდება.

მანჯურიული ხოხობი კოლხური ხოხბის მარკაზე

საქართველოს ფოსტა აპირებს, დაბეჭდოს მარკა კოლხური ხოხბის გამოსახულებით, თუმცა როგორც ექსპერტები ამბობენ, სინამდვილეში მარკაზე მანჯურიული ხოხობია გამოსახული.

ევროპის საფოსტო გაერთიანების „PostEurop“-ის ეგიდით ყოველწლიურად იმართება ევროპის მარკების კონკურსი. წლევანდელი თემა არის ჩიტები. საქართველოს ფოსტამ ამ კონკურსში წარადგინა ქართული საფოსტო მარკა „EUROPA 2019 – კოლხური ხოხობი “.

მარკაზე გამოსახულმა ფრინველმა საზოგადოების კრიტიკა გამოიწვია. სოციალურ ქსელში წერდნენ, რომ ეს კოლხური ხოხობი არ არის. „რადიო თავისუფლება“ დაუკავშირდა ველური ბუნების ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელს რევაზ ბეჟაშვილს. ამ სააგენტოში კოლხურ ხოხბებს, რომელიც წითელ წიგნშია შეტანილი, ამრავლებენ და შემდეგ ველურ ბუნებაში უშვებენ.

„თუ ყელზე თეთრი რგოლი აქვს, ლაქაც რომ ჰქონდეს ერთი თეთრი იმას არ შეიძლება კოლხური ხოხობი დავაწეროთ. ის, რაც მარკაზეა გამოსახული არის მანჯურიული ხოხობი. კოლხურს არა აქვს თეთრი ყელი და არც სიმწვანე“, – ამბობს რევაზ ბეჟაშვილი.

მისივე თქმით, 90-იან წლებში საქართველოში ჰიბრიდული ჯიშის ხოხბებიც გავრცელდა და ბევრს ის კოლხურ ხოხობში ეშლება. შესაბამისად ორმაგად მნიშვნელოვანია მარკაზე ნამდვილი კოლხური ხოხობი იყოს დახატული.

რაც შეეხება საქართველოს ფოსტას, მარკის დიზაინერი ბაადურ ქობლიანიძე ამბობს, რომ ხოხბის გამოსახულება ერთი ინგლისელი ავტორის წიგნიდან გადმოხატა.

„წიგნი და ავტორი ზეპირად არ მახსოვს, მაგრამ სერიოზული ავტორია, მე-19 საუკუნეში მოღვაწეობდა სამეფო კარზე. მას უწერია, რომ ეს არის კოლხური ხოხობი. არ შეიძლება, შეშლოდა. ახლა თუ ინგლისელებმაც არ იციან და“... – ამბობს ბაადურ ქობლიანიძე.

„რადიო თავისუფლება“ გთავაზობთ ველური ბუნების ეროვნულ სააგენტოში გადაღებულ ფოტოს, რომელზეც კოლხური ხოხბებია აღბეჭდილი.

* * *

სტატიის გამოქვეყნების შემდეგ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ მომართა „რადიო თავისუფლებას“ და დაადასტურა, რომ განიხილება მარკის გამოცემა კოლხური ხოხბის გამოსახულებით, რისთვისაც მიმდინარეობს სხვადასხვა ესკიზების განხილვის პროცესი. საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ მიღებული არ არის.

თეა თოფურია

მოგმართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 100 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

გვჯერა, რედაქციის მიმართვას გამოეხმაურებიან ჩვენი ბიზნესმენ-ქველმოქმედნიც და გარკვეულ ფინანსურ დახმარებას გაუწევენ გაზეთს.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

ა. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, რასაც აქ წაიკითხავ, სხვებან ვერ ნახავ!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.7424; ევრო - 3.0630;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.4979;
100 რუბლი - 4.2434; თურქული ლირა - 0.4525;
აზერბაიჯანული მანათი - 1.6095;
1000 სომხური დრამი - 5.7181.

ამინდი 21 მაისისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+11,	დღე	+24
მთიანი რაიონები -	ღამე	+7,	დღე	+23
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+12,	დღე	+30
მთიანი რაიონები -	ღამე	+8,	დღე	+26
თბილისი:	ღამე	+16,	დღე	+22

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge